პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 208 (18450) ხუთშაბათი, 9 სექტემბერი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

კვლავაც ვადიდოთ ქართული ღვარ-მარანი!

საგარეჯოს რაიონის მშრომელთა მიმართვა რესპუბლიკის ყველა მევენახისა და ღვინის მრეწველობის მუშაკისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

კახეთში დაიწყო რთველი — ქართველი მევენახის შრომის გვირგვინი. მალე ყურძნის კრეფას შეუდგებიან ქართლისა და დასავლეთ საქართველოს რაიონებშიც. ამრიგად, დგება ჟამი, როცა სოფლის მშრომელებსა და ღვინის მრეწველობის მუშაკებს დიდი ჯაფა დაადგებათ წლის მოსავლის დაბანდებისათვის. მოსავლისა, რომელიც მოწეულია უამინდობასთან ბრძოლაში, ენით აუწერელი შრომა-გარჯის, მტკიცე ნებისყოფისა და გაუტეხელი სულის შედეგად.

აბა, ვის დაავიწყდება გაზაფხულისა და ზაფხულის დასაწყისში რესპუბლიკის მევენახეობის უმეტეს რაიონებში მოსული ძლიერი სეტყვა, კოკისპირული წვიმები, ქარიშხალი და წყალდიდობა, აურაცხელი ზარალი რომ მიაყენა ჩვენი სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგს. მაგრამ ვენახისათვის იყო კიდევ ერთი, არანაკლებ მძიმე განსაცდელიც — ჭრაქი, ნაცარი და სხვა მავნებელ-დაავადებანი, დაღუპვით რომ ემუქრებოდა ზვრებს.

აი, სწორედ მაშინ საგარეჯოელებმა სამოქმედოდ გავიხადეთ დევიზი „სეტყვას რაც გადაურჩა, ჭრაქს არ დავაღუპვინოთ!" და ამითვე მოვუწოდეთ რესპუბლიკაში ჩვენს თანამოსაქმეებსაც. დღეს სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიტყვა საქმედ ვაქციეთ — ზვრებს არ გავაკარეთ ჭრაქი, ნაცარი და სხვა დაავადებანი. ჩვენი მეზვრეები ახლა უზადო ყურძნით იწონებენ თავს. ახლა მთავარია რთვლის დროულად და უდანაკარგოდ დამთავრება. ხარატოველთა თაოსნობით ჩვენც ყველაფერს ვიღონებთ, რომ ყოველი კილოგრამი ყურძენი დროზე გადავამუშაოთ. ამასთან სახელმწიფო მარნებში მხოლოდ მაღალხარისხოვანი ყურძენი უნდა მივიტანოთ, რაც თავისთავად საუკეთესო ქართული ღვინოების დამზადების გარანტია იქნება.

დასამალი არ არის, რომ უკანასკნელ ხანს, ყურძნის მოსავლის მატებასთან ერთად, ერთგვარად გაუარესდა ქართული ღვინოების ხარისხი, რაც ყურძნის გადამუშავების ტექნოლოგიური წესების დარღვევის ბრალია. რთვლის დროს ზოგიერთ ნაკვეთში ყურძენს დამწიფებამდე ვკრეფთ, ამასთან მარანში ერთნაირად ვწურავთ სხვადასხვა ჯიშის ყურძენს. ასეთ შემთხვევაში ჩვენს რაიონში, მაგალითად, ძალიან ზიანდება „მწვანე", რომელიც გარეკახეთში საკმაოდაა გავრცელებული და რომლისგანაც საუკეთესო ხარისხის ღვინოები დგება.

აქ ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ, რომ გარეკახური ღვინოები, უწინარესად „მანავის მწვანე", ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში იყო განთქმული. ამაზე შესანიშნავად მეტყველებს ვახუშტი ბაგრატიონის ნათქვამი. „მანავის მწვანეს" მევენახე-მემარნეთა წყალობით შემდგომშიც არ აკლდა სახელი და დიდება — მსოფლიო კონკურსებზე სამი ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ასევე კარგი სახელი აქვს ხაშმურ საფერავს, კაკაბეთურ რქაწითელს და სხვა, რასაც ივრისპირეთის კლიმატურ-ნიადაგობრივი პირობებიც უწყობს ხელს. მაგრამ ისიც არ არის დასამალი, რომ ბუნების ამ წყალობას სათანადოდ ვერ ვიყენებთ. შარშან, მაგალითად, ჩვენს რაიონში ღვინის ქარხნებს ჩაბარდა 1400 ტონა მწვანე ჯიშის ყურძენი, რაც მთლიანი მოსავლის 4,2 პროცენტს შეადგენდა. აქედან კი დამზადდა 67.600 დეკალიტრი „მანავის მწვანე", „გურჯაანი" და „ვაზისუბანი". შესაძლებლობა კი გაცილებით მეტი იყო.

ცხადია, ხარისხოვანი ღვინოების დამზადების უფრო მეტი საშუალებაა წელს, როცა მოსავალი შარშანდელთან შედარებით გაცილებით უკეთესია. ამიტომაც საგარეჯოელი მევენახეები და მეღვინეები ვალდებულებას ვკისრულობთ მოვკრიფოთ და გადავამუშაოთ 40 ათასი ტონა ყურძენი, გეგმით გათვალისწინებული 37.500 ტონის ნაცვლად. სასიხარულოა, რომ წელს რაიონის მევენახეობის 17 მეურნეობიდან და 128 ბრიგადიდან გეგმის შესრულებას ყველა გვპირდება. ეს კი საშუალებას მოგვცემს მკვეთრად გავზარდოთ საზოგადოებრივი მეურნეობებიდან დამზადებული ყურძნის ხვედრითი წილი. ჩვენი მეურნეობები 26.220 ტონის ნაცვლად 80 ათას ტონა ყურძენს დაამზადებენ.

ამასთან, სიამაყის გრძნობით აღვნიშნავთ იმ ფაქტს, რომ მეათე და მეთერთმეტე ხუთწლედების პერიოდში რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ყურძნის მოსავალმა ორმაგად მოიმატა, რაც მიღწეულია ახალი ვენახების გაშენებისა და ინტენსიფიკაციის გზით მოსავლიანობის გადიდების ხარჯზე. მაგრამ ამ ღონისძიებების დროს ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო რქაწითელსა და ყურძნის უხვმოსავლიან ჯიშებზე. ამრიგად, გარკვეულწილად და დაუმსახურებლად ჩრდილში მოექცა გარეკახეთის საუკეთესო ჯიშები — მწვანე და საფერავი. მათი გაშენებისათვის კი, მანავისა და ხაშმის მიკრორაიონების გარდა, სხვა ადგილებიც არის გამოვლენილი. ჩვენი ამოცანაა მომავალში სწორედ ეს ჯიშები გავამრავლოთ, რაც თავისთავად მეღვინეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იქნება.

მაგრამ ამანამდე გადავწყვიტეთ, უკვე წლევანდელი რთვლის დროს უდიდესი ყურადღება დავუთმოთ იმას, რომ ყურძენი მოიკრიფოს და ჩაბარდეს ჯიშების მიხედვით, ტრანსპორტით გადატანის დროს არ დავუშვათ მისი ხარისხის გაუარესება, ყურძენს ცალ-ცალკე, ერთმანეთში შეურევლად დავწურავთ.

ახლა, როცა რაიონში გაცხოველებით ვემზადებით ჩვენი უმთავრესი სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის — საიუბილეო წლის რთვლისათვის, ჩვენი აქტივი, მევენახეობის სპეციალისტები, იდეოლოგიის დარგის მუშაკები, სახალხო კონტროლიორები ხარატოველთა მაგალითით სწორედ ამ მიმართებით წარმართავენ თავიანთ მუშაობას, განუმარტავენ მშრომელებს იმ ღონისძიებათა სიკეთეს, რომელთა განხორციელებაც დავისახეთ. ხარატოველთა ცნობილი ინიციატივის პასუხად შექმნილი სახალხო დეპუტატთა ჯგუფები კი სათავეში ჩაუდგებიან მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის გაჩაღებულ ბრძოლას, რათა ვაზზე არ დარჩეს და არ დაიკარგოს არც ერთი მტევანი.

(დასასრული მე-2 გვ.)

პრესა და მოწინავეთა გამოცდილება

საბჭოთა ადამიანების ალმშენებლობითი შრომა საწარმოებში, მშენებლობებზე, სოფლის მინდვრებში, მეცნიერებისა და კულტურის დარგში აყალიბებს ათასობით ნოვატორს, ხუთწლედის მოწინავეს. მოწინავეთა მაგალითი გზას უკაფავს იმათ, ვინც კვალდაკვალ მიჰყვება მათ. წარმოების ინტენსიფიკაციის გამოცდილება, უმცირესი დანახარჯებით მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევის უნარი ფასდაუდებელი საზოგადოებრივი კუთვნილებაა. სკკპ XXVI ყრილობამ დასახა ამოცანა — უზრუნველვყოთ მოწინავე გამოცდილების დროული განზოგადება და გეგმაზომიერი გავრცელება. მის გადაწყვეტაში პასუხსაგები როლი განეკუთვნება ჩვენს პრესას, ტელევიზიასა და რადიომაუწყებლობას.

საბჭოთა პრესას სამართლიანად შეგვიძლია ვუწოდოთ მეურნეობრიობისა და მართვის საუკეთესო გამოცდილების მასობრივი, კოლექტიური სკოლა. ჟურნალისტებისათვის შემოქმედებითი წესი გახდა პროპაგანდა გაუწიონ ინიციატივიანი მუშაობის ნიმუშებს, სოციალისტური შეჯიბრების უნარიან ორგანიზაციას, მიაღწიონ მათს ფართო, სწრაფ დანერგვას. ისინი, ვინც მიდის შემოქმედებითი ძიების გზით, ვინც ავლენს წარმოების ეფექტიანობის ზრდის ახალ რეზერვებს და გულუხვად უზიარებს სხვებს თავის პროფესიულ ჩვევებს, პრესის, ტელევიზიის, რადიოს მადლობის სიტყვებს, აქტიურ მხარდაჭერას იმსახურებს.

ბევრმა გამოცემამ ამ ბოლო დროს შესამჩნევად გააძლიერა ყურადღება ასეთი პუბლიკაციების მომზადებისადმი. გაზეთი „ჩელიაბინსკი რაბოჩი" უფრო სრულად ისწრაფვის გამოავლინოს ხუთწლედის მოწინავეთა გამოცდილება. მკითხველთა გამოხმაურებას იმსახურებს გაზეთ „კუზბასის" სტატიები, ნარკვევები, რომლებშიც გაშუქებულია ყაირათიანი, მომჭირნე მშრომელების პრაქტიკა. დაბეჯითებით უწევს პროპაგანდას მოსავლის აღების მოწინავე მეთოდებს, გვიჩვენებს მექანიზატორთა ინიციატივას „იუჟნი ურალი" (ორენბურგი). ამრიგად, პრესა ხელს უწყობს ახლის, პროგრესულის დამკვიდრებას. ჟურნალისტური ძიებანი ამ მიმართულებით განუხრელად უნდა განვავითაროთ და გავაღრმავოთ, ვეცადოთ, რომ პრესის გამოსვლები კიდევ უფრო აქტიურად უწყობდეს ხელს იმ ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც დგას პარტიული ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების წინაშე ხუთწლედში.

პრესის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კითილი თაოსნობანი, რომელთა მიზანია შინაგანი რეზერვების გამოვლენა, შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმების, აგრეთვე საქმისადმი ადამიანთა ნამდვილი შემოქმედებითი დამოკიდებულების ჩანერგვის გამოცდილების განვითარება. საჭიროა უფრო ფართოდ, ყოველმხრივ გავაშუქოთ შრომითი კოლექტივების ცხოვრება, ვაჩვენოთ მათი გავლენა ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებაზე, მისი საქმიანი და იდეურ-ზნეობრივი თვისებების ფორმირებაზე. სწორედ კოლექტივში იბადებიან, იზრდებიან წარმოების ნოვატორები, უზრუნველყოფილია შრომის ეფექტიანობის, პროდუქციის ხარისხის ამაღლება, სიმძლავრეთა ყველაზე სრული გამოყენება მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, მოწინავეთა გამოცდილების საფუძველზე.

მუდმივ ჟურნალისტურ ძიებას მოითხოვს სასურსათო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის გაშუქებაც. მთავარია, რომ თავის გამოსვლებში პრესა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდეს დადებითი მაგალითის ძალას, ღრმად აანალიზებდეს და აშუქებდეს იმ საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებების პრაქტიკას, რომლებიც შრომისა და მართვის უნარიანი ორგანიზაციის, ინიციატივის წყალობით აღწევენ მინდვრებისა და ფერმების პროდუქციის წარმოების ზრდას, მისი ხარისხის გაუმჯობესებას.

ПРАВДА

8 სექტემბრის მოწინავე

უპირველესი საკითხია პრესის ამგვარი გამოსვლების ეფექტიანობა, მათი საზოგადოებრივი რეზონანსი. უნდა ვაღიაროთ, რომ ზოგიერთ რედაქციაში დამკვიდრდა ჩვეულება პრესის ავტორიტეტისა და ქმედითობის შესახებ იმსჯელონ კრიტიკული მასალების მხოლოდ რიცხვითა და მათზე რეაგირებით. ეს საქმისადმი ცალმხრივი მიდგომაა. პუბლიკაციები მოწინავე გამოცდილების შესახებ ჩვენი პრესის გავლენისა და ქმედითობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, ისინი უნდა გახდეს პარტიული კომიტეტებისა და სარედაქციო კოლექტივების ყოველდღიური ზრუნვის საგანი.

წარმატებას შეგვიძლია მივაღწიოთ იმ შემთხვევაში, თუ, უწინარეს ყოვლისა, უზრუნველვყოფთ ასეთი მასალების დიდ კონკრეტულობას, შინაარსიანობას და გავაძლიერებთ მათს პუბლიცისტურ მგზნებარებას. ბეჭდვითი ორგანოს აქტიური პოზიცია მაშინ გამოვლინდება სრულად, როცა ნოვატორებისა და მისი მეთოდების შესახებ გამოსვლებს მოჰყვება იმათი რიგების შევსება, ვისაც სურდა გამეორებინა, გაემრავლებინა მოწინავეთა მიღწევები. ყოველი გამოცემა უნდა გახდეს სიახლეთა, შრომის საუკეთესო ნიმუშების დანერგვის საბრძოლო ორგანიზატორი, გამოავლინოს ამ საქმეში პარტიული, პროფკავშირული კომიტეტების წამყვანი როლი.

რა ხარვეზი ახასიათებს ბევრ გაზეთს? მოკლედ რომ ვთქვათ, ის, რომ არა აქვს ზუსტად განსაზღვრული ხაზი, თანამიმდევრულობა, მიზანმიმართულობა. მაგალითად, „ტურგაისკაია ნოვმა" (არკალიკი) თავის დროზე საინტერესო სტატია დაბეჭდა საბჭოთა მეურნეობა „რკინიგზელის" მწველავთა შესახებ, რომლებიც მუშაობენ დევიზით „დღეს — რეკორდი, ხვალ — საერთო კუთვნილება". აღნიშნული კოლექტივის შთამბეჭდავი წარმატებანი. მაგრამ გამოცდილების შესახებ ამ სტატიას გაზეთში არ მოჰყოლია მკაფიო გაგრძელება. გაშუქებული თემის განვითარების პრაქტიკული შედეგის მიღწევის უუნარობა სხვა გამოცემებისთვისაც არის დამახასიათებელი. პრესის ვალია ისიც, რომ დინჯად გააანალიზოს, აღმოაჩინოს მიზეზები, რომლებიც ხელს უშლის საგულისხმო თაოსნობათა განვითარებას.

ზოგჯერ პრესის გამოსვლებს ამ თემებზე ახასიათებს აღწერილობითობა, ტექნოლოგიის გულგრილი გადმოცემა, რომლის მიღმა არ ჩანს თვით ადამიანი. გამოცდილების არსის, მისი დეტალების ღრმა წვდომა უთუოდ საჭიროა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია აღვაგზნოთ სხვები სურვილით — მიბაძონ ნოვატორის მაგალითს. ამისათვის კი საჭიროა სიმართლით, მკაფიოდ ვაჩვენოთ მოწინავისა და ნოვატორის ცხოვრებისეული პოზიცია, სახე.

დაეხმარონ სარედაქციო კოლექტივებს მიზნის, იმ მთავარის შერჩევაში, რაც ყურადღებასა და ყველგან გავრცელებას იმსახურებს, იზრუნონ გამოსვლების ქმედითობისათვის — ეს არის პარტიული კომიტეტების მოვალეობა. ისინი უშუალოდ მოვალენი არიან ჩაუნერგონ სამეურნეო ხელმძღვანელებს გულისხმიერი, პასუხისმგებლური დამოკიდებულება პრესის მასალებისადმი, ასწავლონ მათ, რომ ეს გამოსვლები გამოიყენონ სოციალისტური შეჯიბრების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, წარმოების დამატებითი რეზერვების ძიებისათვის. პარტიული კომიტეტების მიერ აქტუალური პუბლიკაციების მხარდაჭერა ამაღლებს პრესის ავტორიტეტს, აძლიერებს მის შემოქმედებას რაიონის, ოლქის, რესპუბლიკის ეკონომიკური და კულტურული განვითარების მიმდინარეობაზე, უნდა გვახსოვდეს, რომ უყურადღებობა მასალებისადმი, რომლებიც ავლენს მოწინავე გამოცდილებას, ნოვატორობის მეთოდებს, — ესეც უყაირათობაა.

მოწინავეთა გამოცდილება ჩვენი პრესის წარუვალი, მაგისტრალური თემაა. ვუწევდით მას პროპაგანდას, ვავრცელებდით მას — ნიშნავს აქტიურად ვუწყობდეთ ხელს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებას, სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლას.

საქმეზე გამოარჩინა

ქუთაისის ნ. ლაკობას სახელობის ტრიკოტაჟის ფაბრიკის კოლექტივმა წლის დამდეგიდან თითქმის 40 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გაანაღდა. საწარმოს მიერ გამოშვებული 50 სახეობის ნაწარმიდან 29-ს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი აქვს.

ბევრმა წარმოების მუშაკმა, რომლებიც ღირსეულ შეხვედრას უმზადებენ სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს, წლიური დავალება შეასრულა. მიჯნის დაძლევა სამშობლოს ერთ-ერთმა პირველებმა უპატაკეს მქსოველებმა მაყვალა ზივზივაძემ და მარინე ნიქაბაძემ. ისინი მნიშვნელოვნად უსწრებენ დროს და უშვებენ ჩინებული ხარისხის პროდუქციას.

სურათზე: მოწინავე მქსოველები, კომკავშირელები მაყვალა ზივზივაძე და მარინე ნიქაბაძე.

გ. ბერსამიას ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

პროდუქციის მაღალი ხარისხი საერთო საზრუნავია

ხარისხის უმაღლესი კატეგორიის გამოშვების მხრივ საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უკავია ჩვენს ქვეყანაში. ექვსი საწარმოს კოლექტივი დაჯილდოვდა საკავშირო პროფსაბჭოს და სახსტანდარტის საპატიო დიპლომებით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეთი დიპლომები მინიჭებული აქვს ქვეყნის სულ 150 საწარმოს, ცხადია, ჩვენი შრომითი კოლექტივების დამსახურება ძალზე სასიხარულოა. ერთი თვის წინათ ხარისხის მართვის კომპლექსურ სისტემათა დანერგვისათვის საქართველოს 114 წარმომადგენელს გადაეცა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები.

მიმდინარე წლის შვიდ თვეში რესპუბლიკის მრეწველობამ გამოუშვა 780,6 მილიონი მანეთის ხარისხისნიშნიანი პროდუქცია.

ეს ციფრები დაასახელა თავის სხდომაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა ეფექტიანობისა და ხარისხის რესპუბლიკურმა კომისიამ, რომელსაც სათავეში უდგას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. კოლბინი.

კომისიამ განიხილა სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი პროდუქციის გამოშვების დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა, შეიმუშავა საპატიო ხუთკუთხედიანი ნაწარმის რაოდენობისა და ნომენკლატურის შემდგომი ზრდის ღონისძიებანი.

მოისმინეს სსრ კავშირის სახსტანდარტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს უფროსის ნ. ა. გიორგობიანისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის პირველი მოადგილის გ. დ. კოსოვსკის ინფორმაციები.

შემდეგ ინფორმაციით გამოვიდნენ პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ვ. ი. ალავიძე, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ვ. ა. ხაზარაძე, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე ე. ი. დუდჩენკო, საწარმოო გაერთიანება „საქყოფქიმიის" გენერალური დირექტორი ო. ი. მელქაძე და სხვები.

როგორც სხდომის მონაწილეებმა აღნიშნეს, მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებაში მოპოვებულ უცილობელ წარმატებებთან ერთად არის არსებითი ხარვეზებიც. ზოგიერთ საწარმოში შესუსტდა ბრძოლა ნაწარმის მაღალი ხარისხისათვის, შემცირდა მისი წარმოება. ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება მსუბუქი მრეწველობის, მანქანათმშენებლობის, ქიმიის საწარმოებს. არის პროდუქციის ატესტაციის ვადების ჩაშლის ფაქტები, კერძოდ, სასოფლო მშენებლობის, საავტომობილო გზათა სამინისტროების საწარმოებში, საწარმოო გაერთიანებებში „საქსოფლმანქანა", „ჩარხმშენებელი", „მეორეულფერადლითონი", თბილისის გაზის აპარატურის ქარხანაში, სხვა საწარმოებში. მართალია, საწარმოთა ნაწილს წინა თვეებში სერიოზული შეფერხებები ჰქონდა ნედლეულის, მასალის, მაკომპლექტებელ ნაკეთობათა მიწოდების დაგვიანების გამო, მაგრამ, როგორც კომისიის სხდომაზე მთელი რიგი საწარმოებისა და გაერთიანებების ხელმძღვანელთა გამოსვლებმა ცხადყო, ახლა მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად სწორდება, პროდუქციის ხარისხი კი, სამწუხაროდ, ძველებურია.

პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები, ბევრი საწარმოს პარტიული ორგანიზაციები, ხელმძღვანელობენ რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებით, აძლიერებენ მუშაობას, რათა დარაზმონ კომუნისტები, ყველა მშრომელი მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოსაშვებად. მიმდინარეობს ბრძოლა ნედლეულის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, გრძელდება საწარმოების, უწინარეს ყოვლისა, ფართო მოხმარების საქონლის გამომშვები საწარმოების სპეციალიზაცია და ტექნიკური განახლება. ამ მიმართულებით კომპლექსური ღონისძიებანი ხორციელდება სხვა დარგებშიც.

და მაინც, საწარმოთა კოლექტივების ერთი ნაწილის მუშაობის შედეგები სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. ანალიზი გვიჩვენებს, რომ მრეწველობის პროდუქციის მთლიან მოცულობაში სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი ნაწარმის ხვედრითმა წილმა 10 თვეში შეიძლება შეადგინოს 13,1 პროცენტი. ეს მოწმობს, რომ ჯერ კიდევ ყველა რეზერვი როდია გამოვლენილი და წარმოების სამსახურში ჩაყენებული, ცხადყოფს, რომ ხარისხისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ ყველგან არ გამხდარა ახლანდელ ეტაპზე სოციალისტური შეჯიბრების მთავარი მიმართულება.

პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის გაჩაღებული შეჯიბრების ეფექტიანი ორგანიზაციის განუყოფელი ნაწილია შემსრულებელთა პასუხისმგებლობის ამაღლება, მატერიალური და მორალური სტიმულირების სისტემის სრულყოფა. მაგრამ ყველა პარტიული, პროფკავშირული ორგანიზაცია როდი ეკიდება ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღებით. ბევრგან არ დგას პარტორგანიზაციათა ყურადღების ცენტრში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხები მთელი მუშაობის ხარისხის ამაღლების პრობლემებთან დაკავშირებით.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან კიდევ უფრო აქტიურად დარაზმონ სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების შრომითი კოლექტივები იმ დავალებათა შესასრულებლად, რომლებიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დასახა ხარისხისნიშნიანი პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის.

გადავაქციოთ მუშაობის თვისებრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის ბრძოლა თითოეული მშრომელის შინაგან, პირად მოთხოვნილებად — ნიშნავს მოვიპოვოთ ახალი მიღწევები სოციალისტური ეკონომიკის განვითარებაში, წარმატებით შევხვდეთ ხორცი სკკპ XXVI ყრილობის წინასწარდასახულობებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებს — ასეთი დასკვნა გამოიტანეს ხარისხის კომისიის სხდომის მონაწილეებმა.

სხდომის შედეგები შეაჯამა ამხ. გ. ვ. კოლბინმა.

(საქინფორმი).

გულითადი მილოცვები

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ნ. ა. ტიხონოვმა ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავთან დაკავშირებით ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ტ. ჟივკოვს და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ გ. ფილიპოვს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მთელი საბჭოთა ხალხისა და პირადად თავიანთი სახელით გულითადად მიულოცეს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და მოძმე ბულგარელ ხალხს საზეიმო დღე.

* * *

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ნ. ა. ტიხონოვმა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 34-ე წლისთავთან დაკავშირებით კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ კიმ ირ სენს და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერს ამხანაგ ლი დენ ოკას გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით მიულოცეს კორეის შრომის პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრალურ სახალხო კომიტეტს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საბჭოს და მთელ კორეელ ხალხს ეროვნული დღესასწაული.

ასამოქმედებელ ობიექტებზე

ჩამორჩენა დაძლეული იქნება

ჩვენი გაზეთის 29 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „მშენებლები ტემპში ჩამორჩებიან" ვიტყობინებოდით, რომ საჩხერის ბამბის ხართავი ფაბრიკის მშენებლობა არადამაკმაყოფილებელი ტემპით მიმდინარეობს, მოისუსტებს შრომის ორგანიზაცია, არ არის შეთანხმებული მუშაობა მოიჯარე ორგანიზაციებს შორის. გენერალური მოიჯარეა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო (მინისტრი — ამხ. ვ. გოგოლაძე).

არადა, მშენებარე საწარმოს სრული ამოქმედების შემდეგ დადებითად გადაიჭრება არა მარტო რაიონის მრავალი ეკონომიკური და სოციალური პრობლემა, არამედ იგი დიდი შენაძენი იქნება რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის განვითარების საქმეში. აქ დაამზადებენ 5.100 ტონა გამოთეთრებულ და შეღებილ ნართს, რაც ჩვენი ტრიკოტაჟის ფაბრიკების მოხმარების 40 პროცენტს შეადგენს და, რაც მთავარია, შემდგომში მისი შემოტანა რესპუბლიკის გარედან საჭირო აღარ იქნება.

მშენებლობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ამასწინანდელი სპეციალური დადგენილებით შეიქმნა მშენებლობის ხელმძღვანელი შტაბი, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ს. ხაბეიშვილი მეთაურობს. იგი ყოველთვიურად განიხილავს და შეაჯამებს მშენებლობის მსვლელობას, მიიღებს ოპერატიულ ზომებს შეფერხებათა, ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, გადასაწყვეტი საკითხების მოსაგვარებლად.

უკვე გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მშენებელთა პასუხისმგებლობა, ხელი შეუწყო სამშენებლო სამუშაოთა დროულად და ხარისხიანად შესრულებას, თუმცა გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციამ მშენებლობაზე შექმნა თავისი საკორესპონდენტო პუნქტი, სისტემატურად დასტამბავს მასალებს ამ მნიშვნელოვან ასამოქმედებელ ობიექტზე შესასრულებელ სამუშაოთა შესახებ, ამხელს ჩამორჩენილებს, მადლიერების სიტყვებს მიაგებს მოწინავეებს.

დღეს გთავაზობთ საჩხერის რაიონული გაზეთის „ახალი ცხოვრების" რედაქტორის ო. ცარციძის კორესპონდენციას, რომელიც რედაქციის დავალებით მომზადდა.

მშენებლები ამჟამად ორ ცვლად მუშაობენ, წარმატებებს აღწევენ ბრიგადული იჯარით მომუშავე ბრიგადები, რომლებშიაც სოციალისტური შრომის გმირი გრ. ქოხობელიძე, გ. გულიაშვილი და ბ. ცერცვაძე ხელმძღვანელობენ. მათ მხარში უდგას კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადაც, და ასე ყოველდღიურად სამშენებლო მოედანზე, რომელიც ყვირილის მარცხენა ნაპირზეა გადაჭიმული, უკვე გამოიკვეთა ფაბრიკის მთავარი კორპუსი, საორთქლე მეურნეობა, სამლებრო და უჯსოვი მასალების საწყობები, პროფტექნიკური სასწავლებლის (კორპუსები. ეს ერთი თვალის გადავლებითაც კარგად ჩანს, მაგრამ მშენებარე ფაბრიკის დირექტორთან აბესალომ თოფაძესთან და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 8 სამშენებლო ტრესტის მთავარ ინჟინერთან გ. კაპანაძესთან საუბარში ბევრი პრობლემა გამოიკვეთა, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა მოგვარდეს, რათა მშენებლობის პირველი რიგი 1983 წლისათვის დამთავრდეს.

მიმდინარე წელს მშენებლობაზე უნდა შესრულდეს 3 მილიონ 300 ათასი მანეთის სამუშაოები. რვა თვის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, გეგმა მხოლოდ 85 პროცენტით არის შესრულებული. აგვისტოში 306 ათასი მანეთის ნაცვლად შესრულდა 229 ათასი მანეთის სამუშაოები, რაც გეგმის 74 პროცენტია. მართალია, № 8 სამშენებლო ტრესტს, „ქვათურმშენის" სამშენებლო სამმართველოს (უფროსი — ო. კუპატაძე, მთავარი ინჟინერი — გ. ციციშვილი), საკუთარი ძალებით რვა თვის გეგმა 118 პროცენტით შესრულდა, მაგრამ ძლიერ ჩამორჩებიან ქვემოიჯარე ორგანიზაციები, რომლებმაც ამავე პერიოდში მილიონ 270 ათასი მანეთის ნაცვლად 875 ათასი მანეთის სამუშაოები შეასრულეს, განსაკუთრებით ჩამორჩებიან „საქმთავარსპეცმშენის" თბილისის ლითონკონსტრუქციების სამმართველო (უფროსი ი. ხარაბაძე) „თერმოიზოლაციის" ქუთაისის სამმართველოს ზესტაფონის უბანი (უფროსი მ. მოისეევი) და სხვა. პირველმა რვა თვის გეგმა 63 პროცენტით გაანაღდა, მეორემ კი 22 პროცენტით, საყვედურს იმსახურებენ აგრეთვე მექანიზაციისა და სამრეწველო ვენტილაციის სამმართველოები. საჭიროა დროულად გამოვიტანოთ დასკვნები. ამ ტემპით, რა თქმა უნდა, ვერ უზრუნველყოფენ მიმდინარე წლის გეგმების შესრულებას.

რა განაპირობებს ჩამორჩენას? რა ხელშემშლელი მიზეზები აქვთ მშენებლებს? მთავარი ისევ და ისევ რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და სასაქონლო ბეტონის ნაკლებობაა. მიუხედავად იმისა, რომ „მშენინდუსტრიამ" აგვისტოში გადააჭარბა რკინა-ბეტონის მიწოდების გეგმას, 412 კუბური მეტრი კონსტრუქციების ნაცვლად მშენებლებს მიაწოდა 614 კუბური მეტრი და ამით ნაწილობრივ დაფარა 7 თვეში არსებული გარღვევა, მაგრამ მთელ რიგ სერიოზულ პოზიციებში მაინც არ არის სასურველი მდგომარეობა. მაგალითად, 65 ცალი გადასახურავი ფილიდან (3X12) მშენებლებს დააკლო ოცი ცალი, ასი ცალი ფილიდან დააკლო 5 ცალი, საკუთარი წარმოებიდან № 8 სამშენებლო ტრესტს უნდა მიეწოდებინა 2400 კუბური მეტრი სასაქონლო ბეტონი, ფაქტობრივად მიაწოდა 1700 კუბური მეტრი. ამასთან მშენებლებისათვის მიწოდებულ რკინაბეტონის კონსტრუქციების უმრავლესი ნაწილი უკომპლექტოა, რაც არ იძლევა ყველა რკინაბეტონის კონსტრუქციის გამოყენების საშუალებას. ამასთან მარტო აგვისტოში მშენებლებს დააკლდათ 500 კუბმეტრი რკინაბეტონის ნაკეთობა, 120 ცალამდე მთავარი კორპუსის გადასახურავი ფილა და საკედლე პანელი. მნიშვნელოვან გაუმჯობესებას მოითხოვს ტრანსპორტის მუშაობა. ყოველივე ზემოთქმული ერთხელ კიდევ შეგვახსენებს, რომ ყველამ გულთან უნდა მიიტანოს მინდობილი საქმე, რათა მშენებარე საფეიქრო გიგანტი გათვალისწინებულ ვადებში ამოქმედდეს.

ამჟამად მშენებლობაზე ყოველდღიურად 250-260 კაცი გამოდის სამუშაოდ, თვის ბოლოსათვის მათი რიცხვი 300-მდე უნდა გაიზარდოს, ხოლო წლის ბოლოსათვის — 500-მდე. ეს აუცილებელია იმდენად, რამდენადაც მომავალ წელს 6 მილიონი მანეთის სამუშაოა შესასრულებელი. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები № 8 სამშენებლო ტრესტის ხელმძღვანელობასთან ერთად, უეჭველია, დადებითად გადაწყვეტენ ამ პრობლემას. მშენებლობის საკითხი ოპერატიულად დგას პარტიის საჩხერის რაიკომის ბიუროსა და რაისაბჭოს აღმასკომის სხდომებზე, სადაც შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების განსაკუთრებული პროგნოზირება ხდება.

მშენებელთა საერთო განწყობილება ოპტიმისტურია. ჩამორჩენა აუცილებლად უნდა დავძლიოთ, — აცხადებენ ისინი.

ო. ცარციძე.

ოფიციალურ ვიზიტად

8 სექტემბერს მოსკოვში საბჭოთა მთავრობის მოწვევით ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ხავიერ პერეს დე კუელიარი.

აეროდრომზე სტუმარს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სხვა ოფიციალური პირნი.

დამხვდურთა შორის იყო პერუს რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში რ. ხუპერ ლოპესი.

(საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

7 სექტემბერს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვ. ვ. კუზნეცოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.

პრეზიდიუმმა განიხილა და მიიღო დადგენილება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების საქმეში სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ ...

ამასთან დაუცხრომელი ყურადღებით ეკიდებოდნენ საგეგმო დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებას, აძლიერებდნენ მომთხოვნელობას სამეურნეო ხელმძღვანელების მიმართ, სისტემატურად აცნობებდნენ მოსახლეობას, თუ როგორ სრულდება საბჭოების გადაწყვეტილებანი და ამომრჩეველთა განაწესები ამ საკითხებზე. ხაზგასმით აღინიშნა, რომ სახალხო დეპუტატების, დეპუტატთა ჯგუფებისა და დეპუტატთა საგუშაგოების ამოცანაა კიდევ ...

... ალური განვითარების, სოფლის მოსახლეობის საბინაო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და სხვა პირობების გაუმჯობესებისათვის თურქმენეთის სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობა.

სხდომაზე გამოსვლისას უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. თ. ვატჩენკომ აღნიშნა განსახილველი საკითხის დიდი მნიშვნელობა, ილაპარაკა იმ გამოცდილების შესახებ, რომელიც უკრაინის სს რესპუბლიკის საბჭოებმა შეიძინეს სოფლის სოციალური გარ-

პიტალური შეკეთების საკითხებს. დასახულია რეკომენდაცია ამაღლდეს სახალხო დეპუტატთა საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების როლი სოფლის მოსახლეობის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაფართოება-გაუმჯობესებაში, ამ საქმეში შემორჩენილი არსებითი ნაკლოვანებების აღმოფხვრაში.

პრეზიდიუმმა განიხილა აგრეთვე თევზის მარაგის დაცვისა და აღდგენა-განახლების კანონმდებლობის მოთხოვნების რეალიზაციის საკითხი, იმსჯელა ქვეყნის ...

...

დარგში. აღინიშნა, რომ საჭიროა რეგულარულად განიხილავდნენ მასობრივი მოთხოვნილების საქონლის წარმოების საკითხებს სახალხო დეპუტატთა საბჭოების სესიებზე, მათი აღმასრულებელი კომიტეტებისა და მუდმივი კომისიების სხდომებზე,

მარის ბ. იაზყულიევის და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების კომისიის თავმჯდომარის ვ. ვ. ნიკიტინის ინფორმაციებში გაანალიზებულ იქნა სოფლის სოცი-

კანალიზაციო, თბოქსელებისა და სხვა ობიექტების მშენებლობის შემდგომი ზრდისათვის, მეტი ყურადღება დაუთმონ საცხოვრებელი სახლების, კომუნალური მეურნეობის ობიექტების დაცვა-შენახვისა და სწორი ექსპლოატაციის, მათი დროული კა-

ფხვრისათვის.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ბევრი სამინისტრო და უწყება არ ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს გაჭუჭყიანებისაგან თევზსამეურნეო წყალსატევების დაცვის თაობაზე კანონმდებლობით დადგენილი წესების შესასრულე-

ცრესი კონტროლი თევზის მარაგის დაცვის დადგენილი წესების განუხრელი შესრულებისადმი. აღინიშნა, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა უნდა გააქტიურონ მუშაობა, რათა კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, მეთევზეობის მეურნეობ-

ვანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ზ. დ. კულბაკოვა. აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოები ეწევიან მრავალფეროვან მუშაობას, რომელიც დაკავშირებულია ქალთა ...

... ში არსებულ შესაძლებლობათა გამოყენებას სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების, სამშობიარო სახლების, ბავშვთა საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების ქსელის გაფართოებისა და მუშაობის გაუმჯობესებისათვის,

ვრი რ. მ. მუსინი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. უ. სალიმოვი, სსრ კავშირის მთელი რიგი სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების ხელმძღვანელები. (საქდესი)

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველზე

გამოვიდა მეორე გამოცემა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ. უ. ჩერნენკოს წიგნისა „პარტიული და სახელმწიფო აპარატის მუშაობის საკითხები“

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა მეორე, გადამუშავებული და შევსებული გამოცემა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ. უ. ჩერნენკოს წიგნისა „პარტიული და სახელმწიფო აპარატის მუშაობის საკითხები“. ფართო პარტიული და საბჭოთა აქტივისათვის, პარტიული სკოლებისა და კურსების მსმენელებისათვის განკუთვნილი ამ ნაშრომის დიდი მნიშვნელობის შესახებ ნაამბობია საქინფორმის მიერ მომზადებულ მასალათა შენარჩევში. მასალებში უმთავრესი ყურადღება ეთმობა როლს, რომელიც კ. უ. ჩერნენკოს წიგნის მეორე გამოცემამ უნდა შეასრულოს პარტიული და სახელმწიფო აპარატის მუშაობის სრულყოფის საკითხებში, და ანალიზდება უმდიდრესი ფაქტობრივი მასალა, რომელიც შეემატა წიგნს სკკპ XXVI ყრილობის შემდეგ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკური და ორგანიზატორული მოღვაწეობის უდიდესი გამოცდილება.

ვიმუშაოთ ლენინურად

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის სხვადასხვა ეტაპზე პარტიული და სახელმწიფო აპარატის მუშაობის სრულყოფის კარდინალურ პრობლემებს, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პი- ...

ამოცანების გადაწყვეტას და კომუნიზმის მშენებლობის საგარეოპოლიტიკური პირობების უზრუნველყოფას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის თავიდათავი — საზოგადოების განვითარების გენერალური პერსპექტივის განსაზღვრა, სწორი პოლიტიკური გეზის შემუშავება და მშრომელთა წარმართვა მისი განხორციელებისათვის — ...

ხი პარტიული ორგანიზაციის შემობრუნება მნიშვნელოვანწილად განაპირობა სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვის დემოკრატიული საფუძვლების გაღრმავებამ, მშრომელთა ფართო მასებთან პარტიული და საბჭოთა ორგანოების ურთიერთობის განმტკიცება-განვითარებამ, მათმა მუდმივმა, სისტემატურმა ჩაბმამ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და ეკონომიკური ამოცანების ...

ნისძიებანი, დამოკიდებულია წარმატება მთავარი ამოცანის რეალიზაციისა — ხალხის მატერიალური და სულიერი ცხოვრების განუხრელი აღმავლობის, პიროვნების ყოველმხრივი განვითარების ყველაზე ხელშემწყობი პირობების შექმნის უზრუნველყოფის ამოცანისა.

დღევანდელობის ეს საარსებო ამოცანები პოულობს გამოხატულებას კარში „საქმიანობის მთავარი ასპარეზია ეკონომიკა“, რომელიც მეორე გამოცემაში მნიშვნელოვნად არის განახლებული, გაფართოებული და გაღრმავებული.

ავტორი უმდიდრესი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე გვიჩვენებს, როგორ ხორციელდება სკკპ XXVI ყრილობის მოთხოვნების შესაბამისად სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ღონისძიებანი, ...

ბათა ხარისხი და შესრულების ორგანიზაცია.

ამ პრობლემებს მჭიდროდ უკავშირდება მშრომელთა, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტთა შემოქმედებითი აქტიურობისა და ინიციატივის განვითარების, დისციპლინის განმტკიცების, ორგანიზებულობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის საკითხები, რომლებიც პარტიის მიაჩნია საზოგადოების წინსვლა-განვითარების, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმატებული მუშაობის უცილობელ პირობად, არა მარტო პარტიის კადრების, არამედ აგრეთვე მშრომელთა ფართო მასების აღზრდა-განათლების ეფექტიან საშუალებად. როგორც ცნობილია, პარტიული გაგებით, კრიტიკა ფასობს ალამმართლობით, ობიექტურობით, გამკრიტიკებელთა მიერ აღძრული საკით- ...

კოს წიგნის „პარტიული და სახელმწიფო აპარატის მუშაობის საკითხები“ მეორე, გადამუშავებული და შევსებული გამოცემის გამოქვეყნება.

წიგნის მეორე გამოცემაში შეტანილი ცვლილებები და დამატებანი აანალიზებს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ბოლო ორი წლის მანძილზე მომხდარ იმ უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, რომლებმაც გავლენა მოახდინა პარტიული და სახელმწიფო აპარატის მუშაობაზე. ამ პერიოდის მთავარ, განმსაზღვრელ მოვლენად, როგორც ცნობილია, იქცა სკკპ XXVI ყრილობა, რომელმაც არსებითად გაამდიდრა კომუნისტური მშენებლობის მარქსისტულ-ლენინური თეორია და პრაქტიკა, დაგვისახა შემდგომი წლების საიმედო ორიენტირები. სწორედ კომუნისტთა ფორუმის პოზიციებიდან განიხილავს ავტორი პარტიული და სახელმწიფო აპარატის შემდგომი სრულყოფის, განვითარებული სოციალიზმის პირობებში მისი საქმიანობის სტილის საკითხებს.

საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში, სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავება- ...

... დავეუფლოთ კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე მუშაობის ლენინურ სტილს.

ძალზე საჭირო, დიდმნიშვნელოვანი ნაშრომი

ხელმძღვანელობისა და მართვის სტილის და მეთოდების შესახებ ლენინური იდეების პროპაგანდაში ფასდაუდებელი მნიშვნელობა ენიჭება ახლახან გამოსულ მეორე, შევსებულ და გადამუშავებულ გამოცემას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ. უ. ჩერნენკოს წიგნისა „პარტიული და სახელმწიფო აპარატის მუშაობის საკითხები“.

წიგნში თანამიმდევრულად, ქრონოლოგიური წესით არის გაშუქებული, თუ როგორ ამუშავებდა მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ხელმძღვანელი ვ. ი. ლენინი მოძღვრებას ახალი ტიპის პარტიის შესახებ, როგორ ყალიბდებოდა და ვითარდებოდა პარტიული და სახელმწიფო აპარატი და როგორ ახორციელებდა და ახორციელებს იგი ახალი ცხოვრების მშენებლობას. მთავარი, რასაც ყურადღება ეპყრობა, პარტიული და სახელმწიფო აპარატის მუშაობის ლენინური სტილია, რომელიც არსებითად გამარჯვების ხელოვნების დაუფლების საშუალებას წარმოადგენს.

მათგან უმნიშვნელოვანესი და ფუძემდებელია კომუნისტური სიმტკიცე ნებისმიერი მოვლენის შეფასებისა და ნებისმიერი ამოცანის გადაწყვეტისას; პარტიული მუშაობის მეცნიერული დასაბუთება და ეფექტიანობა; თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის ორგანული ერთიანობა; კომპლექსური მიდგომა პარტიული მუშაობისადმი, მისი დაგეგმვისადმი; მიღებულ გადაწყვეტილე- ...

... ქალაქო კომიტეტის თაობაზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის საქმიანობის იმ დადებითი გამოცდილების განხილვა, რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა და ქვეყნის ყველა პარტიული ორგანიზაციის კუთვნილება გახდა. ასეთი შეფასება ბევრს ავალებს რესპუბლიკის მთელ პარტიულ ორგანიზაციას, კერძოდ, თბილისის ოქტომბრის რაიონის პარტიულ ორგანიზაციას და ჩვენც სწორედ ამ გამოცდილების შემდგომ გაფართოებასა და გაღრმავებას ვუსახავთ მიზნად ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს მასებში მათი იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის დროს.

კ. უ. ჩერნენკოს წიგნში მოცემული უმდიდრესი მასალა უდავოდ დაგვეხმარება უკეთ წარვმართოთ ბრძოლა სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, სასურსათო პროგრამის შესრულებისათვის, „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების, იმ დოკუმენტის მითითებათა განსახორციელებლად, რომელმაც ზოგადპარტიული მნიშვნელობა შეიძინა და რომელსაც განუხრელად მისდევენ ახლა საქართველოს კომუნისტები, ყველა მშრომელი.

ა. აზიროვი,
საქართველოს კომპარტიის ქ. თბილისის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივანი.

მოქმედების სახელმძღვანელო

ჩვენთვის, პარტიული მუშაკებისათვის, ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ ამხანაგ კ. უ. ჩერნენ- ...

... რომლიც წარმოებისა და სოციალური განვითარების მართვაში ბოლო ხანს განუზომლად გაიზარდა. ამას ადასტურებს წარმატებები, რომლებიც მოვიპოვეთ წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესების, ქარხნის მუშაკთა შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების სათანადო პირობების შექმნის საქმეში. ამას ვაღწევთ იმის წყალობით, რომ მშრომელები აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგადოებრივი საქმეების, კოლექტივისათვის საინტერესო ყველა საკითხის განხილვასა და გადაწყვეტაში. ჩვენთან შეიქმნა და მუშაობს მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირი, ნოვატორთა საბჭო, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოება, სახალხო კონტროლის, „კომკავშირული პროჟექტორის“ ჯგუფები და საგუშაგოები, ეკონომიკური ანალიზის ბიურო, კადრების საზოგადოებრივი განყოფილება და მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების სხვა ნებაყოფლობითი გაერთიანებანი.

განიხილავს რა პარტიული და სახელმწიფო აპარატის საქმიანობის მრავალმხრივ პრობლემებს სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა მიხედვით, კ. უ. ჩერნენკო წინა პლანზე აყენებს მის ყველა რგოლში მუშაობის ლენინური სტილის თანამიმდევრული დამკვიდრების საკითხებს. წიგნში მკაფიოდ არის მონიშნული თანამედროვეობის ახალი, რთული საკითხების გადაწყვეტის, დასახული მიზნების მისაღწევად მასების დარაზმვის გზები და სწორედ ეს ანიჭებს მას დიდ მნიშვნელობას.

ვ. ლომიძე,
თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის პარტკომის მდივანი.

კვლავაც ვადიდოთ ქართული ზვარ-მარანი!

(დასასრული)

ვიმედოვნებთ, რომ რთვლის წარმატებით დამთავრებას დიდად შეუწყობს ხელს აგროსამრეწველო კომპლექსის კოორდინირებული ღონისძიებანი და მართვის ავტომატიზებული სისტემა, რომელსაც უკვე რამდენიმე წელია ვიყენებთ ამ კამპანიის დროს. მოკლე ხანში ჩვენს რაიონში ჩამოვლენ რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა შრომითი რაზმები, რთველში დაგვეხმარებიან ჩვენი მუდმივი შეფები — თბილისის კიროვის სახელობის რაიონის მშრომელები, რაც მთავარია, ამისათვის მობილიზებული იქნება რაიონის მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობა და მოსწავლე ახალგაზრდობა. ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს ყურძენი ვკრიფოთ მხოლოდ კარგად დამწიფების შემდეგ და რთველი შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ დავამთავროთ.

ვკისრულობთ რა ამ ვალდებულებას, მოვუწოდებთ რესპუბლიკის მევენახეებს და მეღვინეებს, სოფლის მეურნეობის მშრომელებს, ყველას, ვისაც კი ქართულ ვაზსა და ღვინოსთან აქვს კავშირი, ჩვენთან ერთად იბრძოლონ ამ სახიქეთო საქმისათვის, თავიანთი წვლილი შეიტანონ საიუბილეო რთვლის წარმატებით დამთავრებაში.

მოდით, კვლავაც ვადიდოთ ქართული ზვარ-მარანი, ისეთი ღვინოები დავაყენოთ, რომ შეგვეძლოს თამამად ვთქვათ პოეტის სიტყვები: „ამავსებ ღვინით, აგავსებ ლხინით, შესვი გაამოს“.

საგარეჯოს რაიონის მშრომელთა სახელით: მ. მეზვრიშვილი — საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი, ს. კავთუაშვილი — საგარეჯოს აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე, გ. გუჯეჯიანი — მანავის ღვინის კომბინატის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, რესპუბლიკის დამსახურებული მეღვინე, ც. კუშუაშვილი — მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გ. ერბოწონაშვილი — საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, ზ. ბილაშვილი — მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი, თ. მეურმიშვილი — კაკაბეთის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი, მ. ზარიევა — კაკაბეთის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ მევენახე-ბრიგადირი, პ. ნიკოლაიშვილი — მანავის ღვინის ქარხნის წარმოების გამგე, გ. როსტიაშვილი — „საქსასოფლტექნიკის“ საგარეჯოს გაერთიანების მმართველი, მ. მეკოკიშვილი — გიორგიწმინდის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრი, თ. აბესაძე — ყანდარის კოლმეურნეობის მევენახე, ო. კონიაშვილი — „საქსასოფლტექნიკის“ საგარეჯოს რაიგაერთიანების ავტომძღოლი.

მეცნიერები — სოფლის მეურნეობას

სამეცნიერო - საწარმოო გაერთიანების „საქსოფლმანქანის“ მეთაური ორგანიზაციის — „მთასოფლმანქანის“ საკავშირო სამეცნიერო ინსტიტუტის სპეციალისტები დიდ ყურადღებას უთმობენ მცირე მექანიზაციის საშუალებების შექმნას. უკვე სათვისებს ხელის ჩაის საკრეფი და ჩაის სასხლავი აპარატების გამოშვება. ეწყობა გაუმჯობესებული ნიმუშების გამოცდა.

სურათებზე: მცირეგაბარიტიანი ტრაქტორი მოხერხებული და საიმედოა მუშაობაში; მაღალი ეფექტიანობა და საიმედოობა ცხადყო ხშ-0611 თვითმავალმა შასიმ.

გ. კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კურსების პროგრამაში მელიორაციის პრობლემები

თბილისში დამთავრდა მიწების მელიორაციის პრობლემებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კურსები, რომელიც მოეწყო სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის განვითარებადი ქვეყნების სპეციალისტებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროგრამით „გარემოს დაცვა“. ეს კურსები ჩვენს ქვეყანაში წელიწადში ერთხელ ეწყობა და ითვალისწინებს სამელიორაციო მეცნიერების დარგში მუშაობის გამოცდილებისა და მიღწევების გაზიარებას, განვითარებადი ქვეყნებისადმი დახმარების გაწევას.

კურსების მუშაობის მანძილზე, რომელიც ეწყობა სსრ კავშირის სხვადასხვა რეგიონში, კითხულობენ ლექციებს, იმართება სემინარები.

საქართველოში კურსების მსმენელები გაეცნენ ალაზნის ველის მლაშე ნიადაგების მელიორაციის სამუშაოებს, სსრ კავშირის წყალთა მეურნეობის სამინისტროს საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და საქართველოს ნიადაგთმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საცდელ-სამელიორაციო სადგურების საქმიანობას, იყვნენ საქართველოს საქსოფლქიმიისა და საქმთავარწყალმშენის ობიექტებზე. გაიმართა სემინარი თემაზე „ელექტროდენის გამოყენებით მძიმე დამლაშებული ნიადაგების მელიორაციის გამოცდილება“, რომელიც მოაწყვეს რესპუბლიკის მელიორატორებმა სპეციალისტებმა ს. სიმონოვმა, დ. მზარეულოვმა და ი. ღოღობერიძემ.

ნიადაგთმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში სტუმრებს კვლევითი ცენტრის მუშაობა გააცნო ცენტრის დირექტორმა, პროფესორმა ო. ონიანმა. რესპუბლიკის ნიადაგის საფარისა და მისი სასოფლო-სამეურნეო გამოყენების შესახებ ლექცია წაიკითხა დირექტორის მოადგილემ ვ. მაჭავარიანმა.

საქინფორმის კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა კურსების ზოგიერთ მონაწილეს.

ალი მუჰამედ ალხაფრი (იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა): — კურსები შესაძლებლობას გვაძლევს გავეცნოთ საბჭოთა მეცნიერებისა და სპეციალისტების მიღწევებს მელიორაციის დარგში. პირველად ვმეცადინეობ ასეთ კურსებზე, ბევრი საინტერესო რამ გავიგე წვეთოვანი რწყვის და წვიმების შესახებ. განსაკუთრებით მომეწონა საწვიმებელი დანადგარი „ყუბანი“, იგი მეტად ეფექტიანია. სამშობლოში რომ ჩავალ, გამოვიყენებ შეძენილ ცოდნას.

ალი აბდი ოდოვა (სომალი): — კურსების მუშაობის მანძილზე საფუძვლიანი ცოდნა შევიძინეთ. მეტად სასარგებლო იყო შეხვედრები საბჭოთა მეცნიერებთან და სპეციალისტებთან. დავრწმუნდით, თუ რა დიდ წარმატებებს მიაღწია საბჭოთა სამელიორაციო მეცნიერებამ. კიდევ მინდა დავძინო, ძალზე მიხარია, რომ ვმონაწილეობ ამ კურსებში, რადგან ვსწავლობდი საბჭოთა კავშირში — კიევში, ხოლო პრაქტიკა გავიარე საქართველოში და მუდამ ვგრძნობდი საბჭოთა ადამიანების კეთილმოსურნეობას.

თბილისიდან კურსების მსმენელები ერევანს გაემგზავრნენ.

• •

თანამშრომლობა მშვიდობის საკეთილდღეოდ

— **არც** ერთი ქვეყანა ისე გულწრფელად და უანგაროდ არ თანამშრომლობს ინდოეთთან, როგორც საბჭოთა კავშირი.

ეს სიტყვები ეკუთვნის ამია გუფტას, ქალაქ კალკუტის შერიფს, მსხვილ მრეწველს, რომელიც მეთაურობს ინდოელ ბიზნესმენთა დელეგაციას. ეს დელეგაცია ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა საზღვარგარეთის ქვეყნების მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებათა მოწვევით.

— დიდად ვაფასებთ საბჭოთა კავშირის მეცადინეობას საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის და ყოველმხრივ მხარს ვუჭერთ მას. მშვიდობის საკეთილდღეოდ თანამშრომლობა — აი ერთადერთი მისაღები პოლიტიკა, რომელსაც ქადაგებენ და ახორციელებენ ჩვენი ქვეყნები, — უთხრა ამია გუფტამ საქინფორმის კორესპონდენტს. — უკვე მეხუთედ ჩამოვდივარ სსრ კავშირში და ყოველთვის ვრწმუნდები თქვენი პოლიტიკის გულწრფელობაში, საშინელი ომის ტანჯვა-ვაება გამოვლილი ხალხის მშვიდობისმოყვარეობაში. დიდი ინტერესით გავეცანით საქართველოს, მის რევოლუციურ წარსულსა და შესანიშნავ აწმყოს.

ჩვენ და საქართველოს ერთნაირი ინტერესები გვაქვს, კერძოდ, ჩაის წარმოება, მივემგზავრებით აჭარაში, სადაც დავათვალიერებთ ჩაის პლანტაციებს, ფაბრიკებს, გავეცნობით თქვენი რესპუბლიკის წარმატებებს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ამ დარგში.

საუბრის დასასრულს ამია გუფტამ გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ სსრ კავშირში ინდოელი ბიზნესმენების დელეგაციის ვიზიტი ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის საქმიანი კონტაქტების განმტკიცების კეთილშობილურ საქმეს. (საქინფორმი).

8 სექტემბერი

საერთაშორისო ცხოვრება
დედამიწის ზურგზე

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

ფაქტები მოვლენები

როცა გეოგრაფიული რუკის გადაკეთება სურთ

9 სექტემბერს კორეელი ხალხი აღნიშნავს ეროვნულ დღესასწაულს — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების დღეს (1948 წ.).

ჩვენი ავტომანქანა მიქრის ჰორიზონტისაკენ ლარივით გაჭიმულ გზაზე. მის ორივე მხარეს მოჩანს მწვანე კვადრატებად განლაგებული ბრინჯის ყანები. ეს არის მთელ კორეაში ცნობილი ფხენანნამდოს პროვინციის ონჩხონის მაზრის „3 ივნისის“ სახელობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიწები. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისათვის, მთა-ბორცვიანი ქვეყნისათვის, უჩვეულოა ეს სწორი მინდვრები. და ამ გულდასმით მოვლილ მიწებზე ახლა არაფერი მოაგონებს მნახველს, რომ სულ ოცდახუთიოდე წლის წინათ აქ იყო... ზღვა.

„3 ივნისის“ სახელობის კოოპერატივი, — გვითხრა მისმა უცვლელმა თავმჯდომარემ კან სონ რელმა, — კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში პირველი მეურნეობაა, რომელიც შეიქმნა მლაშობზე — ყვითელი, ან, როგორც კორეაში უწოდებენ, დასავლეთის ზღვის დაშრობილ მიწებზე. 1960 წლის შემოდგომაზე ნაპირიდან სამ კილომეტრამდე მანძილზე ჯებირი აიგო. მან ზღვას წაგლიჯა 1200 ჩუნბო (ერთი ჩუნბო 0,99 ჰექტარს უდრის). აქ წყალი თავთხელი იყო—მხოლოდ 1-2 მეტრი. ასეთი დიდი მასივის დაშრობა სანახევრო საქმეს წარმოადგენდა. სანამ აქ ბრინჯი დაითესებოდა, თითქმის ორი წელი მარილებისაგან მიწა ირეცხებოდა.

როცა 1962 წელს პირველი, თუმცა მცირე მოსავალი მოვიწიეთ, იხსენებს კან სონ რელი, კანონიერ კმაყოფილებას განვიცდიდით და არ გვეეჭვებოდა, რომ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. ჩვენი იმედები, რომ მოსავალს გავზრდით, გამართლდა. შარშან საშუალოდ მოვიწიეთ 73 ცენტნერი ბრინჯი ყოველ ჩუნბოზე. და წელს მოსავალი ამაზე ნაკლები როდი იქნება.

ონჩხონის კოოპერატივის სამფლობელოები ზღვის სანაპიროს გაყოლებით რამდენიმე კილომეტრზე გადაჭიმულა, და ამიტომ მას ზოგჯერ „სანაპიროსაც“ უწოდებენ. მაგრამ მალე იგი, როგორც ჩანს, დაკარგავს ამ სახელს. კან სონ რელმა დაგვანახა შორს აღმართული აჟურული ლითონის კოშკები, რომლებიც პირდაპირ ზღვაში დგას. იქ ახლა წარმოებს სამუშაოები, რათა ზღვას წაგლიჯონ ახალი, კიდევ უფრო დიდი მასივები.

„3 ივნისის“ სახელობის კოოპერატივი კორეაში ზღვის მიწების ათვისების პიონერი გახდა. ფხენიანის დოკუმენტური ფილმების სტუდიამ გადაიღო ფილმი „მლაშობის ახალი ისტორია“. იგი ეძღვნება ამ კოოპერატივის კოლექტივის შრომასა და ყოფა-ცხოვრებას, რომელშიც 700 კაცი მუშაობს.

ონჩხონის მეურნეობა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ერთადერთი ამგვარი მეურნეობაა. მის მეზობლად მდებარეობს დიდი სახელმწიფო მეურნეობა, რომელიც აგრეთვე მლაშობ ნიადაგზე შეიქმნა. მთლიანად ზღვისთვის წართმეულ მიწებზე შეიქმნა ჩრდილოეთ კორეის ფხენან-პუქტოს პროვინციის სონჩხონის მაზრის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივიც. ასეთი მიწები არის სხვა მაზრებშიც.

მაგრამ ყველაფერი, რაც განვლილი წლების მანძილზე გაკეთდა მხოლოდ თავისებური „ბრძოლით დაზვერვა“ იყო ზღვაზე იმ ფართო შეტევის წინ, რომელიც კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში წელს დაიწყო. იგი წარმოებს კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გასული წლის ოქტომბერში გამართული მეოთხე პლენუმის გადაწყვეტილებით შემუშავებული პროგრამის შესაბამისად. პლენუმმა ამოცანად დასახა ოთხმოციანი წლების დამლევამდე 300 ათასი ჩუნბო მლაშობის ათვისება და ამით მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემის გადაწყვეტის პირობების შექმნა.

ჩრდილოეთის მდინარე ამნოკანიდან სამხრეთის სამხედრო-სადემარკაციო ხაზამდე გაშლილ სამუშაოთა ფართო ფრონტის ხელმძღვანელობისათვის კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საბჭოსთან შარშან შეიქმნა მლაშობთა ათვისების მთავარი სამმართველო. როგორც საკდესის კორესპონდენტს ამ სამმართველოს უფროსის მოადგილემ კილ ჩან ხუნმა განუცხადა, მლაშობი ნიადაგების ათვისება ამჟამად გახდა უპირველესი ამოცანა იმ მთავარი მიზნის მიღწევისათვის ბრძოლაში, რომ მარცვლეულის მოსავალი ქვეყანაში 15 მილიონ ტონამდე გაიზარდოს.

დაახასიათა რა მლაშობი ნიადაგების ათვისების სამუშაოთა მასშტაბი, კილ ჩან ხუნმა განაცხადა, რომ აქ დასაქმებულია 30 ათასი კაცი. მშენებლებს ეხმარება თანამედროვე ტექნიკა — დიდტვირთიანი თვითსაცლელები, ექსკავატორები, თვითსაცლელი კარჭაპები, სხვა მანქანები და მექანიზმები. წლის დამლევისათვის იქ უნდა აშენდეს დაახლოებით 14 კილომეტრი საერთო სიგრძის ჯებირები. უნდა აითვისონ უფრო დიდი ნაკვეთები ამავე პროვინციაში კადოს კუნძულის რაიონსა და მდინარე ჩხონჩხონგანის შესართავში. სამუშაოები აქ შესაბამისად 1983 და 1985 წლებში დაიწყება..

თანამშრომლობის ჰორიზონტები

ბუდაპეშტი. დღეს უნგრეთის მშრომელები აღნიშნავენ სსრ კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების 15 წლისთავს. თხუთმეტი წლის წინათ ხელმოწერილმა ამ ისტორიულმა დოკუმენტმა ფართო პერსპექტივები დაუსახა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის თანამშრომლობას. დღეს ძნელია გამოიძებნოს მოძმე რესპუბლიკის ცხოვრების ისეთი დარგი, რომელშიც არ იგრძნობოდეს საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მზარდი ურთიერთობის სიკეთე. მარტო განვლილი ხუთწლედის წლებში საბჭოთა კავშირის ხელშეწყობით უნგრეთში ამოქმედდა 25 საწარმო და ობიექტი, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ სახალხო მეურნეობისათვის. ამ ცოტა ხნის წინათ უნგრეთის მეტალურგიის გიგანტში — დუნაივაროშის კომბინატში საექსპლოატაციოდ გადაეცა ორი ქვეყნის მეტალურგთა თანამშრომლობით შექმნილი ახალი ფოლადსადნობი საამქრო, რამაც შესაძლებელი გახადა გაზრდილიყო ლითონის გამოშვება.

განვლილი წლები კულტურის დარგში სსრ კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას შორის თანამშრომლობის აყვავების დიდმნიშვნელოვანი პერიოდი გახდა. ახლახან ბუდაპეშტში გაიმართა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის კულტურული თანამშრომლობის სამთავრობათაშორისო კომისიის სესია, რომელზეც აღინიშნა, რომ ორი ქვეყნის ფართო და მრავალმხრივი კულტურული ურთიერთობა წარმატებით ერწყმის პოლიტიკურ და ეკონომიკურ თანამშრომლობას, ხელს უწყობს საბჭოთა და უნგრელი ხალხების სულიერ გამდიდრებას, მეგობრობის განმტკიცებას.

ობიექტივშია ბულგარეთი



9 სექტემბერს ბულგარელი ხალხი აღნიშნავს სოციალისტური რევოლუციის 38 წლისთავს. ამავე დროს, ას წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც სახელმწიფოს დედაქალაქად სოფია გამოცხადდა. უკანასკნელი 38 წლის მანძილზე იგი არათუ შესამჩნევად გაიზარდა, არამედ გაახალგაზრდავდა კიდეც და უფრო თანამედროვე გახდა. ახლა სოფია ქვეყნის მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრია. ქალაქი მილიონზე მეტ მოსახლეობას ითვლის.

სურათებზე (ზემოთ): მონუმენტი — საბჭოთა განმათავისუფლებელ არმიას; ქვემოთ — ქალაქის ერთ-ერთი თანამედროვე ნაგებობა — კულტურის სახალხო სასახლე „სოფია“. აქ ეწყობა ყველაზე დიდი ეროვნული და საერთაშორისო ფორუმები, კონცერტები, თეატრალური წარმოდგენები, სხვა კულტურული ღონისძიებები.

ტელეტაიპის ლენტიდან

დანაშაულებრივი აქტი

ბერნი. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ბერნის საელჩოს ბანდიტურად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით შვეიცარიის ფედერალურ ხელისუფალთა წარმომადგენელმა დანაშაულებრივი აქტი უწოდა მოქმედებას, რომელიც ტერორისტებმა განახორციელეს საელჩოსა და დიპლომატიური პერსონალის წინააღმდეგ.

როგორც იუსტიციისა და პოლიციის ფედერალური დეპარტამენტის წარმომადგენელმა განაცხადა, ახლა მთავარი ამოცანაა დააპატიმრონ ტერორისტები.

ვარშავა. როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, ნატოს ქვეყნები ცდილობენ საელჩოში ტერორისტთა ჯგუფის შეჭრა გამოიყენონ თავიანთ ანტიპოლონურ კამპანიაში. ისინი მოქმედებენ იმ ცნობილი პროპაგანდისტული ხაზის შესაბამისად, რომელიც ეწინააღმდეგება პოლონელი ხალხის ძირითად ინტერესებს და მიზნად ისახავს არ დააცხროს დაძაბულობა პოლონეთში და მის გარშემო.

• •

პროვოკაციები საზღვარზე

პნომპენი. ტაილანდის მხედრიონი განაგრძობს შეიარაღებულ პროვოკაციებს სახალხო კამპუჩიის საზღვარზე.

როგორც კამპუჩიის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, აგვისტოს უკანასკნელ დღეებში და სექტემბრის დამდეგს ტაილანდის არტილერიამ 60-ჯერ და მეტჯერ დაუშინა მასირებული ცეცხლი კამპუჩიის ბევრ საზღვრისპირა რაიონს. ამავე პერიოდში ტაილანდის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავები და ვერტმფრენები არაერთგზის შეიჭრნენ კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში, ტაილანდის შეიარაღებულმა გემებმა კი 130-ჯერ დაარღვიეს კამპუჩიის ტერიტორიული წყლების საზღვარი.

• •

გადაჭრით გმობენ

ფხენიანი. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გადაჭრით დაგმო ამერიკის იმპერიალიზმი, რომელიც სულ უფრო მეტად ერევა კორეის საქმეებში, და სეულის რეჟიმის ანტიხალხური პოლიტიკა იმასთან დაკავშირებით, რომ 8 სექტემბერს 37 წელი შესრულდა ქვეყნის სამხრეთში ამერიკის ჯარების გადმოსხდომის დღიდან.

აქ გამოქვეყნებულ მემორანდუმში აღნიშნულია, რომ სამხრეთ კორეაში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ყოფნა აბსოლუტურად უკანონოა და მისი გამართლება შეუძლებელია.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და კორეელი ხალხი, ნათქვამია დოკუმენტში, დიდ მადლობას უძღვნიან ყველა ქვეყნის მთავრობებსა და ხალხებს, საერთაშორისო დემოკრატიულ ორგანიზაციებს, რომლებმაც სოლიდარობა გამოუცხადეს კორეელი ხალხის სამართლიან საქმეს, და მოუწოდებენ აქტიურად დაუჭირონ მხარი მის სამართლიან ბრძოლას ამერიკის ჯარების გაყვანისა და სამხრეთ კორეაში ამერიკის შეერთებული შტატების ბატონობის ლიკვიდაციისათვის, გარედან ჩაურევლად სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანებისათვის.

ვაშინგტონის იმპერიული მიზნები

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის გამოსვლამ, რომელშიც ჩამოყალიბდა ეგრეთწოდებული „ახალი ინიციატივა“, რამაც, თითქოს ხელი უნდა შეუწყოს „არაბებსა და ისრაელს შორის სიცოცხლისუნარიანი ზავის“ დამყარებას, აღაშფოთა მსოფლიო საზოგადოებრიობისა და არაბული სამყაროს მეტი ნაწილის ფართო წრეები, სადაც ვაშინგტონის „წინადადებანი“ სამართლიანად მიაჩნიათ ახლო აღმოსავლეთში ამერიკა-ისრაელის ბატონობის დამკვიდრების ცდად.

პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობა მთლიანად და სავსებით უარყოფს „ვაშინგტონის ინიციატივას“ ახლო აღმოსავლეთის ვითარების მოწესრიგების შესახებ, განაცხადა პალესტინის ფათჰის ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის წევრმა აბუ აიადმა. რ. რეიგანის მიერ წამოყენებული ეგრეთ წოდებული „ახალი დებულებანი“ მხოლოდ იმისათვის გამოდგა საჭირო, რომ შეალამაზოს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა, როგორმე შეანელოს აღშფოთების ტალღა, რომელსაც ეს პოლიტიკა იწვევს ახლო აღმოსავლეთში. ჩვენ არაერთგზის განგვიცხადებია და კვლავაც ვიმეორებთ, რომ პალესტინის პრობლემა შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ დამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფოს შექმნის გზით.

ლიბანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფ. **ბუტროსმა** აღნიშნა, რომ ორჭოფულია რეიგანის ეგრეთ წოდებული „ახალი“ საახლოაღმოსავლეთო ინიციატივა. მინისტრმა თქვა, რომ პალესტინის საკითხის წარმატებით გადაწყვეტის დიდმნიშვნელოვანი პირობაა ამ პროცესში საბჭოთა კავშირის მონაწილეობა.

როცა აღნიშნავს, რომ მიუღებელია რეიგანის წინადადებანი, რომლებშიც უარყოფილია თვით დამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფოს შექმნის შესაძლებლობა, სირიული „ტიშრინი“ ხაზს უსვამს, რომ არაბები მტკიცედ ილაშქრებენ ამერიკის შეერთებული შტატების იმ ცდების წინააღმდეგ, რომ თავის სასურველ ყაიდაზე გადააკეთოს ახლო აღმოსავლეთის რუკა.

ამერიკის შეერთებული შტატების ბურჟუაზიული პრესა პრეზიდენტის სიტყვას რეკლამას უწევს როგორც „კარდინალურ შემობრუნებას“ ვაშინგტონის საახლოაღმოსავლეთო პოლიტიკაში, მაგრამ ამავე დროს გამოთქვამს მთელ რიგ მოსაზრებებს, რომლებიც ამხილებენ ამ „ინიციატივის“ არსს.

მაგალითად, **„ვაშინგტონ პოსტი“** წერს, რომ ეს „ინიციატივა“ არსებითად უარყოფს პალესტინის სახელმწიფოს შექმნის შესაძლებლობას, და აღნიშნავს რომ ადმინისტრაციის პოლიტიკა შეესაბამება შეერთებული შტატების ინტერესებს. როცა ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე შექმნილი ისრაელის დასახლებების ლიკვიდაციას არ მოითხოვს, წერს **„ნიუ-იორკ ტაიმსი“** ვაშინგტონი ამით „ეთანხმება თელავივის პოზიციას, რომელიც მხარს უჭერს ისრაელის ყოფნას რეგიონის ლამის ყველა წერტილში“. გაზეთი იუწყება, რომ „თეთრი სახლის თანამშრომელთა მიერ მომზადებული სიტყვის ტექსტში პრეზიდენტმა საკუთარი ხელით შეიტანა რამდენიმე ჩანართი, რომლებიც ხაზს უსვამენ მის პირად ერთგულებას ისრაელისადმი“.

ბულგარეთის **„რაბოტნიჩესკო დელო“** წერს, რომ ამერიკის პრეზიდენტმა საჭიროდ ცნო ეთქვა ეგრეთ წოდებული „ახალი სიტყვა“ ამერიკის შეერთებული შტატების საახლოაღმოსავლეთო პოლიტიკის შესახებ უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ვაშინგტონს მეტისმეტად აწუხებს „შეერთებული შტატების პოზიციების ეროზია არაბულ და ისლამურ სამყაროში“.

წარმოუდგენელია სამართლიანი და მტკიცე მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში, თუკი ვაშინგტონი ცდილობს მას საფუძვლად დაუდოს თანამშრომლობის არა მშვიდობიანი იდეები, არამედ აგრესიული მიზნები, წერს მონღოლური **„უნენი“** და ხაზს უსვამს, რომ ახლო აღმოსავლეთის ვითარების ნამდვილი მოწესრიგება შეიძლება მხოლოდ იმ საფუძველზე, თუ ისრაელი აგრესორები დატოვებენ ყველა ოკუპირებულ ტერიტორიას, ცნობენ პალესტინელი ხალხის თვითგამორკვევის, ამასთან თავისი დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოს შექმნის უფლებას.

რელიგია და თანამედროვეობა

მეთქმულება გონების წინააღმდეგ

მისტიციზმი კაპიტალიზმის სამსახურში

თანამედროვე კაპიტალისტური სამყარო მისტიციზმისა და ირაციონალიზმის ფართო ტალღამ მოიცვა. ყვითელი პრესის ფურცლები აჭრელებულია სენსაციური, მსხვილი შრიფტით აწყობილი სათაურებით: „იესოს რევოლუცია“, „ოკულისტების ახალი სიტყვა“, „სპირიტიზმი — მომავლის იმედი“, „ღმერთის ახალი გამოცხადება“, „მაგია—მომავლის პერსპექტივა“ და სხვა.

ბევრი ბურჟუაზიული იდეოლოგი მისტიკის აღორძინებას თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის სოციალური შედეგების ატრიბუტად მიიჩნევს. მას მეოცე საუკუნის — „ელექტრონული“ ცივილიზაციის, „ადამიანის კრიზისის“ და ამ კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთ საშუალებად თვლის. სინამდვილეში ეს მტკიცებანი უსაფუძვლოა. ვ. ი. ლენინის განმარტების თანახმად, მისტიკის — „ყველაზე საშინელი საშინელების“ გავრცელება თანამედროვე კაპიტალისტურ ქვეყნებში კაპიტალიზმის კრიზისული მდგომარეობის ადექვატური ასახვაა. ხვალინდელი დღის შიში, უმწეობა სოციალური უსამართლობის წინაშე, უთანასწორობის განუსაზღვრელი ბატონობა „ცრურწმენის ინდუსტრიის“ ბიზნესის საფუძველი გახდა.

პიროვნება კაპიტალისტურ საზოგადოებაში გარიყულია. იგი სულ უფრო გრძნობს ღირებულებათა დევალვაციას, ცხოვრების საზრისის არარაობას, პრაგმატისტული ურთიერთობების საშინელებას. ადამიანი ნიჰილიზმის, პესიმიზმის, სრული აგონიის ქაოსში ეფლობა. ასეთ პირობებში თანამედროვე ბნელეთის მოციქულები მას მისტიკის, ირაციონალიზმის, ოკულტიზმის, სპირიტიზმის და სხვა მათი მსგავსი იდეური სუროგატებით კვებავენ.

მისტიციზმის ესა თუ ის მიმდინარეობანი სხვადასხვა საშუალებით ცდილობენ ადამიანთა გონების დაბნელებას. მაგრამ მათ ის საერთო ნიშანი ახასიათებთ, რითაც ყველა ეს მიმდინარეობა ქვეყნის დასასრულს ქადაგებს. „ევროპის მზის ჩასვენების“ ბერდიაევისეული აპოკალიფსისი ახლებური ფორმით წარმოდგება სოციოლოგიურ, თეოსოფიურ და ფილოსოფიურ ნაშრომებში. აი, ზოგიერთი ამონაწერი ამ „ლიტერატურიდან“: „სამყაროს ყველა საათის ისარი შეუწყნარებლად მოძრაობს თორმეტი დარტყმისაკენ“; „25-ე საათი — ეს არის უკანასკნელის შემდგომი საათი: ეს ჩვენი დღეებია“; „დასასრული ახლოვდება, ცხოვრება თავის ღირებულებას კარგავს“; „მსოფლიო ისტორიის საათის ისარი აჩვენებს საბედისწერო დროს, მომავლის მწუხრის ჟამს, დროა, დავანთოთ ცეცხლი და ვემზადოთ ღამისათვის“ და ა. შ.

კაპიტალისტურ სახელმწიფოებში ფართოდ არის გავრცელებული თეოსოფიური შეხედულებები. არსებობს სხვადასხვა თეოსოფიური გაერთიანება, გამომცემლობები, საზოგადოებები. თეოსოფების მტკიცებით, ერთადერთი სუბსტრატი სულია. საჭიროა ამ სულებთან დაკავშირების საშუალებების გამონახვა და მათი საშუალებით ადამიანთა ბედის წარმართვა. ამ მიზნით დგება სხვადასხვა სქემა, მოდუსი, ჰოროსკოპი.

უკანასკნელ დროს მეტად პოპულარული გახდა გერმანელი თეოსოფის რუდოლფ შტაინერის ნაშრომების იდეების პროპაგანდა. რუდოლფ შტაინერი ანტიკური პერიოდის ნეოპლატონიკოსების, გნოსტიკოსების და XVII-XVIII საუკუნეების მისტიკოსების მემკვიდრეობათა ეკლექტიკური ნარევით შეეცადა სულიერთან დაკავშირების სისტემის შექმნას. ყოველივე ამის მტკიცებას საფუძვლად დაედო წინასწარგანსაზღვრულობის პრინციპი, რომლის თანახმადაც ყველაფერი წინასწარ დაპროგრამებული სქემით მიმდინარეობს. ადამიანებს ამ სქემის ან მისი მიმართულების ოდნავ შეცვლაც კი არ შეუძლიათ.

შტაინერის წინასწარგანსაზღვრულობის პრინციპი მთლიანად „მოერგო“ ბურჟუაზიული პროპაგანდის მიზნებს — მონობაში იყოლიოს ხალხთა მასები, გაუქარწყლოს მათ უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის იმედები, გადააქციოს ისინი რობოტებად. აი, რატომ უხსნის გზას ბურჟუაზიული პრესა, გამომცემლობები თეოსოფიური შრომების ნაკადს.

დიდი მასშტაბით სხვადასხვაგვარი, მრავალფეროვანი საშუალებებით ვრცელდება კაპიტალისტურ ქვეყნებში სპირიტისტული იდეები.

სპირიტიზმის აპოსტოლად ამერიკელი ენდრიუ ჯექსონი ითვლება, რომელიც მღვდელ სმიტთან ერთად „მიცვალებულთა სულებთან“ დაკავშირების დემონსტრაციას ახდენდა, რაც მას აღწერილი აქვს წიგნებში „სულებთან ურთიერთობის ფილოსოფია“, „დიადი ჰარმონია“, „მაგნიტური კვერთხი“ და სხვ.

შემდგომში დევისის სპირიტისტული სეანსები თითქოსდა 1948 წელს ამერიკელ ფოქსთების ოჯახში მომხდარმა საოცრებამ დაადასტურა, როდესაც ხსენებული ოჯახის წევრები მაგიდას შემოუსხდნენ, ზედ ხელები დააწყვეს და მის შემდეგ მაგიდა ამოძრავდა. ამ მოძრაობით კი ფოქსთები თითქოსდა მიცვალებულთა სულებს დაუკავშირდნენ. ასე გაჩნდა სპირიტიზმში მედიუმები — ადამიანები, რომლებსაც თითქოსდა მიცვალებულთა სულებთან დაკავშირებისა და მათი საშუალებით მოსალოდნელი მოვლენების ამოცნობის განსაკუთრებული უნარი შესწევდათ.

მეცნიერებამ დიდი ხანია ფარდა ახადა სპირიტისტული სეანსების მთელ საიდუმლოებას, ახსნა მისი მექანიზმი, დაასაბუთა, რომ მედიუმები უბრალოდ შარლატანები არიან. მიუხედავად ამისა, ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში მასობრივად არის გავრცელებული მედიუმეობა. მოხდენილად თქვა ცნობილმა დრამატურგმა ბ. შოუმ: ინგლისელებს შეუძლიათ დათმონ თავიანთი კოლონიები, მაგრამ ისინი ვერავითარ შემთხვევაში ვერ დათმობენ სულების არსებობის რწმენას.

ნათელი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ სპირიტიზმის გავრცელების ფარგლებზე, ვიტყვით, რომ ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული სპირიტისტული ჟურნალების სარედაქციო კოლეგიების შემადგენლობაში შეყვანილი არიან გამოჩენილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების „სულთა ორეულები“, რომლებიც თითქოსდა მონაწილეობას იღებენ ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის მუშაობაში.

თეატრალურ წარმოდგენებში, პიესებში, კინოფილმებში, რადიოგადაცემებში მოქმედ პირთა შორის გარდაცვლილ ადამიანთა სულებიც „მონაწილეობენ“. ისინი იძლევიან დარიგებებს, რჩევებს ცხოვრების ამა თუ იმ საკითხებზე და ა. შ.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში ამ ბოლო დროს მოჩვენებების შესახებ შექმნილმა კინოფილმების რაოდენობამ საკმაოდ იმატა. ამ ფილმებში მოჩვენებები მთავარ როლებსაც კი ასრულებენ. ისინი სიძლიერისა და მაგალითის მიმცემი გმირების სიმბოლოებად არიან წარმოდგენილნი.

რადიოთი გადაიცემა სულებთან საუბრის დამყარების ჩანაწერები, ხდება სულებთან დიალოგების ტრანსლაცია.

საკმაოდ მტკიცეა სპირიტისტული გაერთიანებების ორგანიზაციული სახე. ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ბუფალოში არის 1936 წელს დაარსებული „სპირიტისტების საერთაშორისო ცენტრალური ასამბლეა“. მასში 164.000 წევრი იყო გაერთიანებული. ამ ასამბლეას სამასამდე ეკლესია და ამდენივე სკოლა აქვს. მარტო ამერიკის „სპირიტისტების ეროვნულ ასოციაციაში“ ასი ათასზე მეტი წევრია გაერთიანებული.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით პოპულარულია სპირიტისტული მიმდინარეობის ნაირსახეობა — სვედენბორგელობა. სახელწოდება წარმოდგება შვედი თეოსოფისა და მისტიკოსის ემანუელ სვედენბორგის გვარიდან. ე. სვედენბორგი — თავდაპირველად ცნობილი ნატურალისტი, შემდგომში მისტიკოსი — აშკარად უჭერდა მხარს მისტიკური თვალთახედვის რეალობას. მისი მტკიცების თანახმად, რეალურად არსებულ სულების სამყაროსთან დაკავშირება შესაძლებელია რელიგიური ექსტაზის, მეექვსე გრძნობის ორგანოს შექმნის საშუალებით. ამ დაკავშირების შემდეგ კი ადვილია ადამიანის ბედის შესაბამისი მიმართულებით წარმართვა, ანდა მისი მომავლის ამოცნობა. სპეციალურ ლიტერატურაში დადგენილია, რომ სვედენბორგი ფსიქოლოგიური მოშლილობის გამო ხშირად ჰალუცინაციების სამყაროში ვარდებოდა, რაც მას რეალურ ფენომენად მიაჩნდა. სვედენბორგის ფენომენი თავის დროზე მთლიანად გამოააშკარავა გერმანელმა ფილოსოფოსმა იმანუილ კანტმა, რომელმაც დაასაბუთა სვედენბორგის მტკიცებათა სრული უსაფუძვლობა და მიუღებლობა.

მიუხედავად ამისა, კაპიტალისტურ სახელმწიფოებში სვედენბორგელთა ორგანიზაციები ფართო სამისიონერო საქმიანობას ეწევიან.

ბურჟუაზიულ სამყაროში დიდად პოპულარულია ასტროლოგიური ჰოროსკოპების ავტორიტეტი. ასტროლოგია ისეთი სახის მისტიკურ შეხედულებათა სისტემაა, რომლის თანახმადაც ადამიანების, სახელმწიფოების, ომების, მოსავლიანობის და საერთოდ ყველა მოვლენის ბედი მთლიანად ციური სხეულების განლაგებით არის განსაზღვრული. საკმარისია ამ განლაგების ამოკითხვის ხელოვნებას ჩასწვდე და ამით შესაძლებელია მათი მომავლის ამოცნობაც.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპეციალური გამომცემლობა „ცენიტი“ მხოლოდ ასტროლოგიური ლიტერატურის (სწორი იქნება, თუ ვიტყვით — მაკულატურის) დასტამბვით არის დასაქმებული. აი, ასტროლოგიის საფუძვლების ამსახველი ზოგიერთი წიგნის სათაურები: „სამყაროს ასტროლოგიური სურათი“, „ასტროლოგიური სიმბოლიზმის ფსიქოლოგია“, „ასტროლოგიის ტექნიკა“, „ძველი და ახალი ასტროლოგია“ და სხვა.

საფრანგეთის ცენტრალური გაზეთები თავიანთ რუბრიკებში დიდ ადგილს უთმობენ ასტროლოგიურ სათაურებს, ბეჭდავენ სპეციალურ სტატიებსა და ნარკვევებს „გამოჩენილი“ ასტროლოგების შესახებ. სოციოლოგიური გამოკვლევების მონაცემებით, ამ მასალას საფრანგეთის მოსახლეობის ორმოცდაათი პროცენტი კითხულობს.

მისტიციზმის დასახელებულ სახესხვაობათა პარალელურად კაპიტალისტურ ქვეყნებში საკმაოდ პოპულარულია წინასწარმეტყველთა, მისანთა და მკითხავთა ავტორიტეტი. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანაში მათი მოსამზადებელი სასწავლებლებიც არსებობენ. მაგალითად: ჩიკაგოში მოქმედებს მკითხავთა მოსამზადებელი „უნივერსალური სამართლის კოლეჯი“, ნიუ-იორკში — „ასტრალურ მეცნიერთა ამერიკული კოლეჯი“, სან-ფრანცისკოში — „მაგიების კოლეჯი“ და ა. შ.

1954 წელს ამერიკაში ადამიანების „ბედის წინასწარმეტყველთა“ ლიდერებმა თავიანთი კოლეგების მსოფლიო ყრილობაზე მუშაობის შემდგომი გაფართოების ღონისძიებანი შეიმუშავეს და კონკრეტული ხასიათის ორგანიზაციული სამუშაოს პერსპექტივა დასახეს.

ამ ბოლო დროს კაპიტალისტურ სახელმწიფოებში დიდად პოპულარული გახდნენ ოკულტიზმის ლიდერები და მიმდევრები. ოკულტიზმის ანუ „დაფარული ძალების მეცნიერება“ ყველა მეცნიერებაზე მაღლამდგომის პრეტენზიით მიზნად ისახავს თითქოსდა ჯერ შეუმეცნებელი კანონზომიერებების შემეცნებას. მათი მტკიცების თანახმად, არსებობს „მისტიკური კანონზომიერება“, რომლის წვდომის უნარი ჯერჯერობით ადამიანებს არა აქვთ, მაგრამ ეს დროთა განმავლობაში დაძლეული იქნება, რის შემდეგაც ჩვენი შეხედულებანი ძირფესვიანად შეიცვლება, დადგინდება ჩვენი შემეცნების რელატიური ხასიათი.

მისტიციზმის სხვა სახესხვაობებისაგან განსხვავებით ოკულტიზმში მეტი რაოდენობით გვხვდება „მეცნიერული ტერმინოლოგია“, მეცნიერებისათვის ცნობილი კატეგორიები. რიგი, უფრო ზუსტად, ოკულტისტები მეცნიერების თანამედროვე განვითარების ტენდენციების მცდარი, ტენდენციური ინტერპრეტაციით ცდილობენ იგივე ამოცანის შესრულებას, რასაც მისტიციზმის სხვა წარმომადგენლები ემსახურებოდნენ.

თანამედროვე კაპიტალისტურ სახელმწიფოებში არსებობს სხვადასხვაგვარი ოკულტისტური „მეცნიერებები“, მიმდინარეობები. ესენი არიან რადიესტეზისტები, ქიროპრაქტიკოსები და სხვები. მათ სიამოვნებით უთმობენ ადგილს გამომცემლობები, ტელევიზია, სკოლა, უმაღლესი სასწავლებლები. მათ ოფიციალური დაწესებულებები აქვთ, ფართო სამომხმარებლო ქსელს განაგებენ. მისტიკური იდეების პროპაგანდისათვის გამოიყენება ტექნიკის უახლოესი საშუალებანი — კიბერნეტიკა, გამომთვლელი მანქანები, სპეციალური სქემები. კაპიტალისტურ სახელმწიფოებში არსებობს მისტიკური ცდების ჩასატარებელი ხელსაწყოების სპეციალური გაერთიანებანი, საწარმოები, მაღაზიები.

ასეთია მოკლედ იმ მისტიკურ სახესხვაობათა ზოგადი მიმოხილვა, რომლებსაც უკანასკნელ დროს ესოდენ ფართო ასპარეზი ეთმობა კაპიტალისტური ქვეყნების სინამდვილეში.

და ბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ მისტიციზმით მოსახლეობის დიდი ნაწილის გატაცების მიუხედავად, იზრდება მატერიალისტური მსოფლმხედველობის გავლენა ადამიანებზე. ამ შეხედულებათა გავლენით განსაკუთრებით მშრომელები იმსჭვალებიან ოპტიმიზმით და ბრძოლას ამქვეყნიურ სინამდვილეში თანასწორუფლებიანობის დამყარებისათვის წარმართავენ. მათ კარგად იციან, რომ სოციალური თავისუფლება ბრძოლით მოიპოვება და არა მიცვალებულთა სულებთან დაკავშირებით. ამიტომ, ბურჟუაზიის იდეოლოგები ყოველნაირად ცდილობენ მატერიალისტურ მსოფლმხედველობას რაიმე დაუპირისპირონ. ასეთ საშუალებად კი მათ მიაჩნიათ ირაციონალიზმი და მისტიციზმი, და ამით ცდილობენ განამტკიცონ კაპიტალისტური წყობილების თეორიული საფუძვლები.

დ. გეგეშიძე,
დოცენტი.

„კომუნისტის" ფოტოკონკურსი

სამნი „ბეწვის ხიდზე".
ჯ. ლომაძის ფოტო.

ტელეეკრანთან

ძლევის წლების მატიანე

კიდევ — ერთი ფურცელი მატიანისა, ჩვენი რესპუბლიკის ბოლო წლების შენებისა და აღმასვლისა. ათასგვარად აღინუსხა, ახმიანდა სახალხო მეურნეობისა და კულტურის მრავალ სფეროში მიღწეული ეს წარმატებები. კინემატოგრაფის, სახელდობრ, დოკუმენტური კინოს ღვაწლი მაინც ფასდაუდებელია ამ მხრივ. მისი მეოხებით მომავლისათვის, შვილებისა და შვილიშვილებისათვის დასურათხატებულია, ამეტყველებულია რესპუბლიკის მატიანე, მისი დღევანდელი მაჯისცემა, საფიქრალ-საზრუნავი.

ამ შესანიშნავი საქმის თაოსანი საქართველოს სახტელერადიოს კომიტეტი, ტელეფილმების სტუდიაა, რომლის მუშაკებმა უკვე შემოგვთავაზეს რამდენიმე დოკუმენტური ფილმი, — მატიანე ბოლო წლებისა.

ამ სრულმეტრაჟიან ფერად დოკუმენტურ ფილმს კი „საბჭოთა საქართველოს მატიანე, წელი 1981" ჰქვია.

შარშან ჩვენს რესპუბლიკაში იმდენი ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა, რომ ფილმის ავტორებს (სცენარის ავტორები — ა. სანებლიძე და დ. იოსელიანი, რეჟისორი ჯ. ებრალიძე, ოპერატორები ი. ვაჩნაძე, ვლ. ერმაკოვი, ნ. გიგინეიშვილი, კ. ტატიაშვილი, ა. ბაქრაძე) დიდი არჩევანი ჰქონიათ დამონტაჟებისას.

წელი კი ორი უდიდესი მოვლენით დაიწყო: ჯერ რესპუბლიკის კომუნისტთა საუკეთესო რაზმი შეიკრიბა თავის XXVI ყრილობაზე, შემდეგ მოსკოვში გაიმართა უდიდესი ფორუმი — XXVI ყრილობა ჩვენი ქვეყნის კომუნისტებისა. შეუძლებელია ამ კადრებს აუღელვებლად უყუროთ, ასეთი კადრები კი ბევრია ფილმში. აი, თუნდაც საბჭოთა საქართველოს 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო დღეები, ყველაზე სასურველი სტუმრის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ჩამოსვლა თბილის-ქალაქში, მისი მამაშვილური მიმართვა და რჩევა-დარიგება რესპუბლიკის ყველა მშრომელისადმი. ანდა, რად ღირს კადრები, ჩვენი თუშეთის აღორძინება-განახლებას რომ გვიცოცხლებენ, შარშანდელი ზაფხული, ზეიმი და სიხარული თუშეთისა, გზის გაყვანა და ახალი მეურნეობის დალოცვა— კიდევ ერთი დასტური და ფაქტი, თუ როგორ ილვწიან საქართველოს კომპარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ძველის გასაახლებლად, ახლის მხარდასაჭერად. სატელევიზიო ფილმი განა მარტო მშვენიერი კადრებით — ხატოვანი საავტორო ტექსტით, პუბლიცისტური სიმახვილით მოგვითხრობს შარშანდელ გამარჯვებებზე. ჩვენი აზრით, მთავარი ღირსება ფილმისა მაინც ის არის, რომ ადამიანები წარმოგვიჩინა, რომლებიც დღე-ღამეს ასწორებენ საყვარელი რესპუბლიკის სახელ-დიდებისათვის. აქ ვეცნობით ბამელებს, „დვალიშვილის ბიჭებს", აქ კიდევ ერთხელ შევცქერით 80 წლის თამარ ყუფუნიას — წლებით, შრომით მოღლილ მის სახეს, გვახარებს მარაბდა-ახალქალაქის ახალგაზრდა მშენებელთა გარჯა და შემართება, მერი მდივნის, ტრიფონ როსტიაშვილის, ვალერიან ალექსაშვილის და სხვათა გეგმები და ვალდებულებანი. ესეც ერთი ძლევის წელი იყო. და განა მარტო სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში...

დიდება მიიმატა ქართულმა მეცნიერებამ, ლიტერატურამ და ხელოვნებამ, სპორტმა. სახელმწიფო პრემია — „დათა თუთაშხიას", საბჭოთა მუსიკის საკავშირო ფესტივალი საქართველოში, რუსთაველის თეატრის გასტროლები საზღვარგარეთ, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი — თბილისის „დინამოს" და ა. შ. ეს ყოველივე სანაქებოდ აღუბეჭდიათ ფირზე ფილმის ოპერატორებს. ხოლო რეჟისორი ჯ. ებრალიძე, რომლისთვისაც ახალი არ არის ამგვარ ფილმებზე მუშაობა, აქაც ავლენს თავის დახელოვნებას, — მაყურებელი შეუნელებელი ინტერესით ადევნებს თვალს ფილმს, მის დინამიურობას (სხვათა შორის, ამ რეჟისორს რამდენიმე ფრიად საინტერესო ფილმი აქვს გადაღებული სპორტულ თემებზე: „მატჩის დირიჟორი", „ორმოცი ძნელი წუთი", „ალექსანდრე მეტრეველი" და სხვ. ზოგმა მათგანმა პრიზებიც კი დაიმსახურა სხვადასხვა რანგის ფესტივალებზე).

ამ დოკუმენტურ ფილმებს კი სულ სხვა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, უფრო სწორად, როგორც დასაწყისში მოგახსენეთ, მომავალ თაობათათვის, რომელთაც მერმისში დიახაც, უნდა ნახონ მატიანე ძლევის წლებისა, მამათა თავდადება საყვარელი რესპუბლიკის ახალი სიმაღლეებისათვის. უპირველესად სწორედ ამიტომ ეკუთვნით მადლობა ფილმის ავტორებს. და, რა თქმა უნდა, მადლობა ერთი საათის სიამოვნებისთვისაც.

ვ. მაღლაკელიძე.

ძნელი მატჩი

თბილისის „დინამოსა" და ხარკოვის „მეტალისტის" ფეხბურთელთა გუშინდელი მატჩის თაობაზე საუბარი მისი მეორე ტაიმიდან რომ დაგვეწყო, ალბათ უფრო უპრიანი იქნებოდა. მაგრამ მაინც ვიტყვით, რომ პირველ ტაიმში ჩვენს თანამემამულეთა მეტად უფერული თამაშის მოწმენი გახლდით და... უფრო მეტიც, ერთგვარი შეშფოთებითაც ველოდით მატჩის მეორე ნახევარს.

ცხადია, ტაიმსა და ტაიმშუა შესვენება მწვრთნელს იმის საშუალებას აძლევს, რომ გუნდს კიდევ უფრო დაუკონკრეტოს ის ამოცანა, რომელსაც საწადელის ასრულება უნდა მოჰყვეს... აკი მოჰყვა კიდეც: მეორე ტაიმის დასაწყისშივე თბილისის „დინამოს" სტადიონის ტრიბუნებზე წარმატების იმედმა დაისადგურა. მასპინძლებმა უმეტეს ტემპს, გუნდის წევრთა ურთიერთმოქმედებაში სიზუსტემ შესამჩნევად იმატა და შეუპოვარმა იერიშებმაც მწყობრი სისტემის ხასიათი მიიღო. ამას მოჰყვა ის, რომ მესხის მიერ წამოწყებული სოლო იერიში მისივე უბადლო პასით გაგრძელდა და... შენგელიამ საქმე მეტოქეთა კარის აღებით დააგვირგვინა. 1:0 — ასეთი ანგარიშით გაიმარჯვა „დინამომ".

სხვა რამდენიმე შეცდომას თუ არ გავიხსენებთ, სამწუხაროდ მატჩის არბიტრი ა. შევჩენკო ორ საპენალტო სიტუაციაში „ვერ გაერკვა".

ამ დღეს თბილისელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: მჭედლიძე, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, მესხი (კაკილაშვილი), ცავა, შენგელია.

უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეხუთე ტურის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „ჩერნომორეცი"-„შახტიორი" — 2:0, „დინამო" (კ)-„ყუბანი" — 3:0, „ზენიტი"-„ტორპედო" (მ) — 4:2, „დინამო" (მნ)-ცსკა — 1:1, „არარატი"-„დნეპრი" — 1:3.

ჯ. ენუქიძე.

მოსკოვის საზონათშორისო...

მოსკოვში დაიწყო მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის რიგით მესამე საზონათშორისო ტურნირი. პირველ ტურში კასპაროვმა (სსრ კავშირი) დაამარცხა საქსი (უნგრეთი), ბელიავსკიმ (სსრ კავშირი) — ველიმიროვიჩი (იუგოსლავია), ტალმა (სსრ კავშირი) — [illegible] ([illegible]). ბელერ (სსრ კავშირი)-[illegible] (არგენტინა), [illegible] ([illegible]) გეორგიუს (რუმინეთი) პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ასპარეზობენ მძლეოსნები

ათენში გრძელდება ევროპის ჩემპიონატი მძლეოსნობაში. შეჯიბრების მეორე დღეს 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში ჩემპიონის წოდება მოიპოვა ხოსე მარინმა (ესპანეთი). მომდევნო საპრიზო ადგილები დაიკავეს ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა იოჟეფ პრიბილინეცმა და პავლე ბლაჟეკმა.

საინტერესო და შეუპოვარი ბრძოლა წარიმართა შუბისმტყორცნელ ვაჟთა შორის. აქ საბოლოოდ უძლიერესის სახელს დაეუფლა უვე ჰენი (გდრ). მან შუბი ტყორცნა 91,34 მეტრზე. საბჭოთა მძლეოსანმა, ესტონელმა ხეინო პუუსტემ 89,56 მეტრი დაძლია და ვერცხლის მედალი მიიღო. მესამე ადგილი წილად ხვდა დეტლეფ მიხელს (გდრ).

ქალთა შორის 100 მეტრზე რბენაში საპრიზო სამეულში სპორტსმენები ასე განაწილდნენ: 1. მარლიზ გერი (გდრ), 2. ბარბელ ვოკელი (გდრ), 3. ემე ბაკე (საფრანგეთი). ამავე სახეობაში ვაჟთა შორის ჩემპიონია ფრანკ ემელმანი (გდრ), ვერცხლის მედლის პრიზიორი — პიერ-ფრანცისკო პავონი (იტალია), ბრინჯაოსი — მარიან ვორონინი (პოლონეთი). ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში გაიმარჯვა ვალი იონესკუმ (რუმინეთი), მეორე ადგილზე გამოვიდა მისი თანამემამულე ანისოარა კუზმირი. საბჭოთა მძლეოსანთაგან ელენე ივანოვამ ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

რედაქტორის მოადგილე
ლ. კიკნაძე.

თბილისის ჭიჭიკო ბენდელიანის სახელობის № 38 ტექნიკური სასწავლებელი

აგრძელებს მოსწავლეთა მიღებას 1982-83 სასწავლო წლისათვის

ქართული და რუსული სექტორების შემდეგ სპეციალობებზე: ხარატი, მღარავი, ზეინკალ-მეიარაღე, ხარატ-მერევოლვერე (ქალებისათვის), მექანიკურ სამუშაოთა ამწყობი ზეინკალი, ავტოშემკეთებელი, მეთუნუქე ზეინკალი სამტექნიკოსი, რადიოაპარატურის მოწყობილობათა მემონტაჟე (ქალებისათვის) ელექტრომემონტაჟე და ელექტროშემკეთებელი.

სწავლის ვადა ერთი წელია. სწავლის პერიოდი ითვლება უწყვეტ სამუშაო სტაჟად. სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას 80 მანეთის ოდენობით, ფრიადოსნები — 25 პროცენტით მეტს. საწარმოო პრაქტიკის პერიოდში მოსწავლეებს მიეცემათ გამომუშავების 33 პროცენტი.

ყველა კურსდამთავრებული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გაიგზავნება დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში სპეციალობის მიხედვით. სამუშაოს დაწყების პირველი დღიდანვე მსურველები აყვანილი იქნებიან ბინით დაკმაყოფილების აღრიცხვაზე. მანამდე კი ახალგაზრდებს მიეცემათ ქარხნის საერთო საცხოვრებელი. ასევე სასწავლებელში სწავლის პერიოდში მოსწავლეები დაკმაყოფილებული იქნებიან სასწავლებლის საერთო საცხოვრებლით.

ქარხანაში შექმნილია საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებაზე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შემსვლელთათვის მოსამზადებელი კურსები, სადაც იგზავნებიან მოწინავე მუშები ქარხნის ლიმიტით.

კურსდამთავრებულები, რომლებიც მიიღებენ წარჩინების დიპლომს, უმაღლეს სასწავლებელში შესვლის დროს სარგებლობენ იმ უპირატესობით, რომელიც დადგენილია ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ოქროს მედალოსანთათვის.

კურსდამთავრებულებს, რომლებსაც ექნებათ ყველა საგანში ფრიადი და კარგი შეფასება და წარმატებით ჩააბარებენ საკვალიფიკაციო გამოცდებს, გამოშვების 10 პროცენტამდე, უფლება აქვთ უმაღლეს სასწავლებელში შესაბამის სპეციალობაზე შევიდნენ უშუალოდ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ.

წვევამდელ ახალგაზრდებს არმიაში გაწვევის ვადა უგრძელდებათ.

სასწავლებელში ჩარიცხვისას მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი, დაბადების მოწმობა, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, დახასიათება, სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), პასპორტი და სამხედრო ბილეთი (წარმოდგენილი უნდა იყოს პირადად), 6 ცალი ფოტოსურათი (3X4).

სასწავლებლის მისამართია: კომკავშირის მეორე ქ. № 22, 26 კომისრის სახელობის რაიონი, ტელეფონი 74-22-91, 74-08-24. ავტობუსი 16, 51. ტრამვაი № 7 მეტრო სადგურ „ისანიდან".

ქართული ჩაი — საექსპორტოდ

წყალტუბო. 20 ტონა ახალი მოსავლის ჩაი გაგზავნა ბულგარეთში წყალტუბოს ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა, რომელმაც ვადაზე ერთი თვით ადრე გაანაღდა სოციალისტურ ქვეყნებში მაღალხარისხოვანი ჩაის მიწოდების წლიური გეგმა. სულ მიმდინარე წელს პოლონეთსა, ბულგარეთსა და უნგრეთში გაიგზავნა 120 ტონა ჩაი. (საქინფორმი).

რეპლიკა

ვითომ გულმავიწყობა?

ამ დღეებში თბილის-ზუგდიდის მატარებლით ვიმგზავრე. ცოდვა გამხელილ ჯობსო და, მოკრით ვიტყვი: მსგავს რამეს არც მოველოდი. კუპირებულ ვაგონში ანტისანიტარია სუფევდა. გამცილებელმა ტ. საეროვამ თავი ისე იმართლა, თითქოს ამ საქმეში სხვა ყოფილიყოს დამნაშავე.

მატარებელი დაიძრა. დავტოვეთ თბილისი. ზვერმა მგზავრმა თადარიგი ადრე დაიჭირა და თეთრეულისათვის მიაკითხა გამცილებელს. ახლა კი მდგომარეობა უფრო დაიძაბა: კონდუქტორი თეთრეულის გაცემაზე უარს აცხადებდა. თან დასძინა: ამ საკითხზე მეტი აღარ იყოსო ლაპარაკი.

მოვძებნეთ შემადგენლობის უფროსი. იგი პავლე კურტანიძე აღმოჩნდა, რომელსაც ამ დარგში მუშაობის 40 წელი უსრულდება, თურმე. მამაშვილურად გვამშვიდებდა:—კონდუქტორმა ხომ აგიხსნათ საქმის ვითარება? ჰოდა, მე რა გიყოთ, როცა მთელი შემადგენლობა ასეთ მდგომარეობაშია.

ჩვენ, ვაგონების ემისრებმა, მაინც ვთხოვეთ, გავერკვეთ საქმის ვითარებაში. მან ოლიმპიური სიმშვიდით მოგვიგო:—საყოფაცხოვრებო მომსახურების თბილისის სამრეცხაო საწარმო „თოლიამ" ვერ მოასწრო თეთრეულის დარეცხვა-დაკუპაჟირება და... ეს მათთვის ცნობილი გამხდარა მატარებლის გასვლიდან ერთი საათის წინ თეთრეულის საამქროს ხელმძღვანელის წყალობით, რომლის გვარი რატომღაც ვერ მოაგონდა პ. კურტანიძეს. თან თავი იმართლა, ჩვენ რა ვქნათ, თუ ეს ამბავი ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოშიც იციანო. გვირჩია:—ერთი ღამე როგორმე გაძლეთ და მომავალში ასეთი რამ აღარ განმეორდებაო.

და ასე „დამშვიდებული" 800-ზე მეტი მგზავრი მოჰყვებოდა იმ ღამეს თბილის-ზუგდიდის მატარებელს. უთეთრეულო ლოგინის გამოყენებაც კი ვცადეთ მგზავრებმა, მაგრამ უსუფთაობის გამო ახლოს ვერც კი მივეკარებოდი კაცი. ლამის ფეხზე მდგომმა ჩამოვაღწიეთ ზუგდიდში!

ლ. ბარქაია,
ჟურნალისტი.

რედაქციის მინაწერი: თბილის-ზუგდიდის მატარებელში ასეთი ამბების შესახებ წერდა გაზეთი „კომუნისტი" თავისი 17 ივლისის ნომერში სათაურით— „ეს არ უნდა ხდებოდეს", მაგრამ როგორც ზემოთმოტანილი ფაქტი მეტყველებს, ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკებმა საჭირო დასკვნები ვერ გამოიტანეს. მდგომარეობა იგივე რჩება. იმედია, კვლავ უყურადღებოდ არ დატოვებენ სიგნალს და სათანადო წესრიგს დაამყარებენ თბილის-ზუგდიდის მატარებელზე მგზავრთა კულტურული მომსახურებისათვის.

ტაში „კოლხიდას" და „ივერიას"

ვინ არ იცნობს მოსკოვის მშენებელთა, კულტურისა და ტექნიკის სახლთან არსებულ ქორეოგრაფიულ სახალხო ანსამბლს „კოლხიდას" და ბაბუშკინის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სკოლა-სტუდიასთან არსებულ ანსამბლ „ივერიას", რომელთა წევრები — რუსი გოგონები და ვაჟები მომხიბლავად ასრულებენ ქართულ ხალხურ ცეკვებს. ინტერნაციონალური და ესთეტიკური აღზრდის ეს კერები ყოველწლიურად სულ უფრო მეტ ახალგაზრდას იზიდავს. ორივე ანსამბლის წევრთა რაოდენობამ ხუთასს მიაღწია.

ეს ანსამბლები აქტიურად მონაწილეობენ დედაქალაქის მშრომელთა და სტუმართა კულტურულ მომსახურებაში, ხშირად მოგზაურობენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში, აგრეთვე საზღვარგარეთ.

წლეულს შემოდგომაზე ანსამბლები თავიანთ არსებობის 25-ე წლის თავს აღნიშნავენ. ამ ხნის მანძილზე მათ გამართული აქვთ 1500-ზე მეტი კონცერტი, მათ შორის 20 ცენტრალური ტელევიზიით.

25 წელია მოზართა და მოზრდილთა ანსამბლს სათავეში უდგას საქმისათვის თავდადებული ენთუზიასტი — საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი, ინჟინერი რევაზ ჯანიაშვილი.

და აი, საიუბილეო ზეიმის წინ „კოლხიდა" და „ივერია" თითქოსდა ერთგვარი ანგარიშით წარსდგნენ ქართველი მაყურებლების წინაშე. მათ იმოგზაურეს საქართველოს ქალაქებში: გორში, ცხინვალში, ჭიათურაში, საჩხერეში, ზესტაფონში, ქუთაისში, ტყიბულში, სოხუმში, ზუგდიდში, ბათუმში, მახარაძეში, ქობულეთში და მაყურებელთა გულწრფელი ტაში დაიმსახურეს. მოსკოველებს არასოდეს დაავიწყდებათ შეხვედრები რაიონების მშრომელებთან, ქუთაისელ ავტოქარხნელებთან, ზუგდიდელ სამამულო ომის ვეტერანებთან, სოხუმელ პიონერებთან...

ამ გასტროლებისთვის, რომელიც სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს მიეძღვნა, მოცეკვავეები სპეციალურად მოემზადნენ. ორგანიზატორეებიანი საკონცერტო პროგრამა დახვეწილი, მდიდარი დადგმებით შეივსო. მათ კარგად აუთვისებიათ ტემპერამენტიანი „მთიულური", „ყაზბეგური" და „სვანური". საინტერესოა ქორეოგრაფიული კომპოზიცია „გამარჯვების დღესასწაული", რომელიც მიეძღვნა კავკასიის გმირულ დაცვასა და დიდი სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვებას. პროგრამაში სულ 17 ქართული ხალხური ცეკვა და ქორეოგრაფიული კომპოზიცია იყო.

გასტროლების დამთავრების შემდეგ — ანსამბლ „ივერიის" ნორჩი მოცეკვავეები ქობულეთის ერთ-ერთ პიონერთა ბანაკში ისვენებდნენ.

რ. მუხაძე.

მერვე სიმაღლე

თბილისის ტიპობრივი და ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მოწყობილი სპეციალური კონკურსის ჟიურიმ გამარჯვებულად გამოაცხადა ვახტანგ კვიმსაძე. მისი თექვსმეტსართულიანი, ერთსექციიანი კარკასულ-პანელიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი საუკეთესოდ იქნა მიჩნეული.

პროექტის პრაქტიკული განხორციელება ნიშნავს, რომ რესპუბლიკის დედაქალაქსა, თუ სხვა ქალაქებში, უფრო სწრაფად აიგება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, დაიხარჯება ნაკლები რკინა-ბეტონი და სხვა საშენი მასალები, ამასთან, გაიზრდება საიმედოობა კონსტრუქციებისა, რომლებიც დამაგრებული იქნება არა ელექტროშედუღებით, არამედ უშუალოდ მშენებლობისას წინასწარ დაძაბული არმატურის დაჭიმვით.

— საბჭოთა და საზღვარგარეთელ ხუროთმოძღვართა ამ მოსახერხებელ და მარტივ მეთოდს დიდხანს არ იყენებდნენ ჩვენში — თქვა პროექტის ავტორმა ვ. კვიმსაძემ, — გადიდებული სეისმურობის პირობებში კი უეჭველია მისი აქტუალობა. ახლა ეს იდეა განხორციელდება თბილისის, რუსთავის, მადნეულის, ბათუმის, გროზნოს, ავლაბრის დედაქალაქ ქაბულის ახალმშენებლობებზე.

ვახტანგ კვიმსაძე ინსტიტუტის მეოთხე სახელოსნოს პროექტის მთავარი არქიტექტორია. იგი მრავალი სასოფლო კოტეჯის, რკინიგზის ვაგზლის მაღაზიისა და ადმინისტრაციული შენობის პროექტის ავტორია და უკვე მერვედ იმარჯვებს კონკურსში, რაც ნათლად მოწმობს ხუროთმოძღვრის დიდ შემოქმედებით პოტენციალს, ვის ანგარიშზეცაა ნახევარ მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობის ასი მაღლივი საცხოვრებელი სახლი.

ვ. კვიმსაძე ნიადაგ ხვეწს თავის ყოველ ახალ პროექტს კოლეგებთან (ა. კიმბერგი, ქ. ზავრიევი, მ. ბედიაშვილი, ა. ჩიქობავა, ვ. ცქვიტინაძე და მ. გეურქოვი) ერთად, რაც საშუალებას იძლევა, ყოველი მეათე საცხოვრებელი მაღლივი სახლი დაზოგილი მასალებით აიგოს. არქიტექტორის უშუალო მონაწილეობით დამზადებული ფასადის მოპირკეთების ელემენტები არა მარტო ამშვენებენ საცხოვრებელ სახლებს, ამდიდრებენ კიდევაც ლილოში მუდმივად მოქმედი სამშენებლო გამოფენის ექსპოზიციას, რომელიც რესპუბლიკის მშენებელთა მოწინავე გამოცდილების სკოლაა.

(საქინფორმი).

ისმის გარმონის ჰანგები

თუშებს ძნელად თუ ვინმე შეეჯიბრება ხალხური მუსიკის სიყვარულში. თითქმის ყველა ოჯახში აქვთ გარმონი და ბავშვობიდანვე სწავლობენ თუშურ სიმღერებსა და ცეკვებს.

თელავის რაიონის სოფელ ლალისყურის კლუბში რამდენიმე წლის შეიქმნა მეგარმონე და მოცეკვავე ქალთა ანსამბლი კლუბის გამგის თამარ ხაბაიძის თაოსნობითა და მეცადინეობით.

თვითმოქმედ ანსამბლში თექვსმეტი ქალია და ერთი კაცი. აი ისინიც: თენგიზ ჯიჭურიძე, ქეთევან რაინაული, ნელი ჯიჭურიძე, მთვარისა და გულნაზ ბაკურიძეები, ნინო, ცირა, მედეა, ნანა, ლია ხაჩიძეები, ფიქრია ხაბაძე, დარეჯან და ევა სეხნიაიძეები, ნინო თათრულაიძე, ლელა წოთილაიძე, საბედა ჩახოშვილი, ნათელა ლილაური.

ანსამბლში ბავშვებიც არიან, ისინი გარმონზე უკრავენ და მღერიან.

ანსამბლის პროგრამაშია თუშური ხალხური მელოდიები და ცეკვები. ეს არის მუსიკით გაცხადებული მთლიანი ციკლი თუში ხალხის ბარიდან გამგზავრებისა, მგზავრობაში გადატანილი ხიფათებისა და მშობლიური მთების დანახვით გამოწვეული სიხარულისა.

აი, ამ პროგრამით მონაწილეობდა ანსამბლი შარშან საკლუბო დაწესებულებებს შორის გამართულ სოციალისტურ შეჯიბრებაში და პირველ ადგილზე გამოვიდა. მან თბილისქალაქობაშიც მიიღო მონაწილეობა, საბჭოთა საქართველოს მესამოცე წლისთავისადმი მიძღვნილ მშრომელთა თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე კი ოლიმპიადის დიპლომი და ლაურეატის წოდება დაიმსახურა.

ფოლკლორის საღამოზე ანსამბლის წევრებმა წარმოადგინეს მატყლის დამუშავების პროცესი —ჩეჩვა, რთვა, ქსოვა... წლეულს კი რესპუბლიკის პროფკავშირთა ყრილობის საზეიმო კონცერტზე გამოვიდნენ და მადლობაც დაიმსახურეს. ეს გუნდი აქტიურად მონაწილეობს ყოველგვარ რაიონულ ღონისძიებებში.

ანსამბლის პროგრამაშია სიმღერები: „ეს რომ იცოდე, ჯეელო", „მწყემსური", „თუშეთი", „ნანდობი", „დალაი", „კოდის დალოცვა", ცეკვებიდან აღსანიშნავია „პატარძლის წყალზე წაყვანა", „თუშური სურათები", „ნიქოკელი", ყველა ზემოჩამოთვლილი ნაწარმოები ყოფით ამბებს ასახავს. მაგალითად, როცა თუში ქალები წყალზე მიდიოდნენ, აღმართით და სავალიც შორს ჰქონდათ, „სასვენათანასთან" შეჩერდებოდნენ და იცეკვებდნენ. ამით გზასაც იადვილებდნენ და დაუღალავადაც ბრუნდებოდნენ შინ.

საყურადღებოა, რომ ძველად თუშურ ქორწილში პატარძალს შავი სამოსი ეცვა, ხოლო ნეფე იარაღასხმული ცეკვავდა, ეს ცხოვრების ძნელბედითობის, მტრის თავდასხმისათვის მზადყოფნით იყო გამოწვეული. ბრძოლისთვის, ჭირთათმენისთვის ნეფეც და პატარძალიც მზად უნდა ყოფილიყვნენ. ხოლო ცეკვის დროს თუშ ქალებს ახლაც თავზე შავი მანდილი რომ ახურავთ, ეს ჩვეულება გადმოცემით თამარ მეფის სიკვდილთან არის დაკავშირებული. მას შემდეგ ქალები გლოვის ნიშნად შავ მანდილს ატარებდნენ და ცეკვის დროსაც კი თავიდან არ იცილებდნენ, — გვეუბნება თამარ ხაბაიძე. გამონაკლისი იყო მხოლოდ ის, რომ პატარძალი ფერად მანდილს ორ დღეს იხვევდა. სამკალადაც მეორე-მესამე დღეს მიჰყავდათ. თავსაბურავის მოცილება კი დიდ სირცხვილად ითვლებოდა.

ანსამბლი ეძიებს და აღადგენს თუშურ მუსიკალურ ფოლკლორს. არსებობის ათი წლის მანძილზე ანსამბლმა დიდი პოპულარობა მოიპოვა, ბევრი მიმბაძველიც გამოუჩნდა. ალბათ, მალე გაიხსნება კულტურის სახლი, რომელიც უფრო მეტ ახალგაზრდას მიიზიდავს და ბოლო ხანებში შექმნილ თუშურ მუსიკალურ ფოლკლორსაც არ დატოვებენ უყურადღებოდ.

ახლა კი, ანსამბლის ხელმძღვანელი გავიცნოთ:

ათ წელზე მეტია, რაც თამარ ხაბაიძე ლალისყურის კლუბის გამგედ მუშაობს. ამ ხნის მანძილზე ბევრს შეაყვარა თავი. იგი ქვემო ალვანელია. სამი შვილი ჰყავს, მაგრამ ეს სულაც არ უშლის ხელს, მთელი დღეები ახალგაზრდებთან მუშაობას მოახმაროს. იგი კარგად ფლობს გარმონის დაკვრის ხელოვნებასაც.

— ძალიან დიდი ჯაფა დამჭირდა ანსამბლის შესაქმნელად, ამბობს თამარი, — ყველაზე მეტად კი ხალხის შეგროვება გამიძნელდა, ვინაიდან ყველანი შრომაში იყვნენ ჩაბმულნი და თავისუფალი დროის გამონახვა ჭირდა. რეპეტიციებს ზამთრობით ჩემს სახლში ვატარებდი, რადგან კლუბში გათბობა არ იყო. ძველი მელოდიები ხნიერი ხალხისგან მაგნიტოფონის ფირზე ჩავიწერე. მერე დავიწყე მათი შესწავლა. ასე ვისწავლე ცეკვის ილეთებიც, რომლებიც გადავამუშავე და ერთ სიუიტად ჩამოვაყალიბე.

სასიხარულოა, რომ კლუბში არსებობს მეგარმონე ბავშვთა წრე. პირველი და მეორე კლასის ოცდათოთხმეტმა მოსწავლემ უკვე კარგად იცის გარმონზე დაკვრა და ამით ძველი თუშური მელოდიების დაკარგვის საშიშროებაც აღარ არსებობს. ჯერჯერობით რეპეტიციებზე სოფელში ნათხოვარი გარმონებით ვარჯიშობენ და სხვისი სამოსებით გადიან იოლას, მაგრამ, ალბათ, ამ საქმესაც მალე მოაგვარებენ.

თამარ ხაბაიძის დიდი სურვილია არ დაიკარგოს თუშური ხელსაქმე, კლუბთანვე ჩამოაყალიბოს წრე, სადაც დამუშავდება მატყლი და მოიქსოვება ფარდაგები, ჩითები, წინდები, და ის, რაც თუშური ყოფის ამსახველია.

კარგი იქნება, თუ ამ საქმეში თავს გამოიდებს ლალისყურის სამეურნეობათაშორისო მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა და თელავის რაიონის კულტურის განყოფილება, რათა კვირაში თუნდაც სამი კაცდღე გამოიმუშაონ ამ ხელსაქმით დაინტერესებულმა ანსამბლის წევრებმა. ისინი მცირე გასამრჯელოზეც თანახმანი იქნებიან, რომ განაგრძონ მუშაობა და ახალ საფეხურზე აიყვანონ თუშური ხალხური ხელოვნება.

ი. ჯაჭვაძე,
„კომუნისტის" სპეც. კორ.



სურათზე: ანსამბლის ერთ-ერთი წევრი ეკა სეხნიაიძე.
ლ. ბინიაშვილის ფოტო.

ტელევიზია

9 სექტემბერი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.45 — გამოვეგებმაუროთ, მეგობრებო! 10.30 — მხატვრული ფილმი „ომი და მშვიდობა". მესამე სერია — „1812 წელი". 12.15 — საწარმოო ტანვარჯიში. 12.45 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — ფაშიზმის მსხვერპლთა საერთაშორისო დღის გამო. დოკუმენტური ფილმები. 16.20 — უკრავს ტ. ვოლსკაია (დომრა). 16.40 — პოეზია. მ. ბაჟანი. 17.35 — მ. გლინკა — დიდი სექსტეტი. 18.00 — საჭადრაკო სკოლა. 18.30 — მხიარულ ტალღაზე. 18.45 — ევროპის ჩემპიონატი მძლეოსნობაში. 19.45 — დღის მსოფლიოში. 20.00 — მეცნიერება. 20.30 — ბულგარეთის ეროვნული დღესასწაული — თავისუფლების დღის გამო. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ტელევიზიის პროგრამა. 22.00 — „ვრემია". 22.35 — მღერის ომსკის სახელმწიფო რუსული ხალხური გუნდი. 23.05 — დღის მსოფლიოში. 23.20 — ევროპის ჩემპიონატი მძლეოსნობაში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 და 11.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 9.35 და 10.35 — ა. ს. პუშკინი — „კაპიტნის ქალიშვილი". მეშვიდე კლასი. 10.05 — ესპანური ენა. 11.05 — „ფიზიკა და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია". 11.35 და 12.50 — მუსიკა. მესამე კლასი. 12.20 — დედის სკოლა. 13.10 და 13.35 — ქრანი — მასწავლებელს. 14.00 — ბოროდინის ბრძოლის 170 წლისთავის გამო. 15.00 — მხატვრული ფილმი. „ულამაზესი ღამე". 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — „მეგობრების სახეები". 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული ფილმი „დღეობა".

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — კინონარკვევი — „მიწაზე და ცაში". 10.00 — „მოამბე". 10.30 — მხატვრული ფილმი „განსაკუთრებული ნიშნები არა აქვს". I სერია. 17.00—დოკუმენტური ფილმი 17.35 — „სასტრადო პანორამა". 18.20—„შუქი სულისა"—რუსუდან ტოხაშვილი. 18.35—მულტიპლიკაციური ფილმი „კოლეთი". 18.55 — ახალგაზრდობისათვის — „სამშობლოა ჩვენი მეველი". „ახალი მოსამართლე — 67-ე პარალელი" (განმეორებით). 19.45 — „დღის მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.30 — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ტელევიზიის პროგრამა (ეძღვნება ბულგარეთის ეროვნულ დღესასწაულს—განთავისუფლების დღეს). (მ.). 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — მხატვრული ფილმი „განსაკუთრებული ნიშნები არა აქვს". II სერია. 23.50 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.35 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.45—სატელევიზიო სექტაკლი „რამაიანა". 18.30—ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „რეკორდი". 19.30—განცხადებები. 19.35 — მხატვრული ფილმი „მოსკოვი — კასიოპეა".

თბილისის № 60 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1982-83 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე

ხარატი; მექანიკურ სამწყობო სამუშაოთა ზეინკალი; რადიოაპარატურისა და ხელსაწყოების ელმემონტაჟე; ზეინკალმეიარაღე; მტვიფრავი; ავტომატური და ნახევრად ავტომატური ხაზებისა და დანადგარების ოპერატორი (ხარატი, ნახევრად მეავტომატე); ზეინკალ-სანტექნიკოსი; ავტომანქანის მემანქანე („C" კატეგორიის ავტომობილის მართვის უფლებით), ხელით შედუღების ელექტროშემდუღებელი; ვენტილაციისა და ჰაერის კონდიცირების ზეინკალ-მემონტაჟე; განათებისა და ძალური ქსელის მოწყობილობათა ელმემონტაჟე, ტელევიზიისათვის საერთო სამონტაჟო სამუშაოებისა და საერთო დანიშნულების მოწყობილობათა ზეინკალ-ელმემონტაჟე. საქალაქო (ადგილობრივი) სატელეფონო კავშირის საბაზო სახაზო ნაგებობათა ელექტრიკოსი.

სპეციალისტების მომზადება გათვალისწინებულია ელექტროტექნიკური მრეწველობისა და „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის" ობიექტებისათვის.

სწავლა იწარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

სასწავლებელში მიიღებიან 17-30 წლამდე ასაკის ქალები და ვაჟები, რომელთაც პროფესიების მიხედვით მიეცემათ სტიპენდია 30-70 მანეთის ოდენობით და საწარმოო პრაქტიკის დროს გამომუშავებული თანხა დადგენილი წესით. წარჩინებულ მოსწავლეებს მიეცემათ 25 პროცენტით გაზრდილი სტიპენდია.

სასწავლებელში ჩარიცხვისას უპირატესობით სარგებლობენ საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულნი, კომკავშირისა და სახაზო ორგანიზაციებიდან საგზურით გამოგზავნილი ახალგაზრდები.

სწავლის ხანგრძლივობა 10 თვეა. სწავლის პერიოდში წვევამდელებს ეძლევათ საბჭოთა არმიის რიგებიდან გაწვევის გადავადება.

სწავლის პერიოდი ითვლება შრომითის სტაჟად, სასწავლებლის კურსდამთავრებულნი უმაღლესი სასწავლებლის საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზე ჩაირიცხებიან კონკურსგარეშე, ხოლო ის მოსწავლეები, რომლებიც სასწავლებელს დაამთავრებენ წარჩინებით, ჩარიცხვისას სარგებლობენ საშუალო სკოლის ოქროს მედალოსნისათვის დადგენილი უპირატესობით. სასწავლებლის პედსაბჭოს უფლება აქვს შესაბამის სპეციალობაზე უმაღლესი სასწავლებლის დღის განყოფილებაზე სწავლისათვის რეკომენდაცია მისცეს კურსდამთავრებულებს (10 პროცენტის ფარგლებში), რომელთაც ყველა საგანში ექნებათ შეფასება „ფრიადი", „კარგი" და წარმატებით ჩააბარებენ საკვალიფიკაციო გამოცდებს, ამასთან მოწინავენი იქნებიან სასწავლებლის საზოგადოებრივ საქმიანობაში.

სასწავლებელში ჩარიცხვა წარმოებს საკონკურსო შერჩევით.

განცხადება უნდა შემოიტანოთ დირექტორის სახელზე და დაურთოთ შემდეგი საბუთები. საშუალო განათლების ატესტატი (დედანი); დაბადების მოწმობა (დედანი), ფოტოსურათი 6 ცალი (3X4), სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა უნდა წარმოადგინოთ პირადად.

განცხადების მიღება ყოველდღე 9-დან 17 საათამდე, გარდა კვირა დღისა.

სასწავლებლის მისამართია: თბილისი, მაგნიტოგორსკის ქ. № 2-ა, მეტროს სადგურ „დიდუბის" მიმდებარე ტერიტორია.

ტელეფონი: 34-72-59, 34-71-29, 34-79-48.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, ენისა და ლიტერატურის განყოფილება, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი და ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

ნიკოლოზ (ლაშა) სიმონის ძე ჯანაშია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66484 უე 09398 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო ქორპუსი, ხოშტარაულის 29.